ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასება

მარნეულის მუნიციპალიტეტის კვლევის ანგარიში

წინამდებარე შეფასების განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში. მასალა მომზადებულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და შესაძლებელია არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2023 წელი

შინაარსი

თავი 1. შესავალი 3

1.1 კვლევის მიზანი 3

1.2 მეთოდოლოგია 3

1.3 შეფასება 5

1.4 კვლევის შეზღუდვები 6

1.5 კვლევის პროცესი 7

თავი 2. ძირითადი მიგნებები 8

თავი 3. ძირითადი ტენდენციები და რეკომენდაციები 39

თავი 1. შესავალი

1.1 კვლევის მიზანი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით (USAID) „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ ფარგლებში განახორციელა საპილოტე ინიციატივა ოთხ სამიზნე მუნიციპალიტეტში: ბათუმი, მარნეული, დმანისი, ჩოხატაური. ინიციატივა გულისხმობს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასებას.

მუნიციპალიტეტების მიერ მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასების დანერგვის მიზანია როგორც არსებული მდგომარეობის შეფასება, ისე მიღებული შედეგების გაანალიზება და ამის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარიხის ზრდა, მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის განხორციელება და ზოგადად, საქმიანობის გაუმჯობესება. აღნიშნული ინსტრუმენტი ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების საქმიანობის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ სტანდარტებთან დაახლოებას (მათ შორის LSG Index-ში მდგომარეობის გაუმჯობესებას), ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის დამკვიდრებას, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პრინციპების დანერგვას, დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესებასა და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევას.

თვითშეფასების პროცესი მუნიციპალიტეტებს აძლევს საშუალებას კრიტიკული თვალით დააკვირდნენ, გააანალიზონ და ახალი პერსპექტივით შეხედონ პროცესებს; ხელს უწყობს შედეგებზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტაციით მსჯელობას; თვითანალიზი ეხმარება სრული და ფართო სურათის დანახვაში; აუმჯობესებს კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის და ხელი უწყობს საერთო ხედვის ჩამოყალიბებას; მხარს უჭერს ხარისხის შიდა კონტროლის კულტურის დამკვიდრებასა და გაძლიერებას; ეხმარება ცვლილებებისა და გაუმჯობესებისთვის მეტად გახსნილობასა და ღიაობაში. როდესაც ორგანიზაციაში დანერგილია თვითშეფასების პრაქტიკა, ეს ნიშნავს, რომ იგი მიმართულია განვითარებასა და ზრდაზე. შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის თვითშეფასების ინიციატივა არის სწავლაზე ორიენტირებული და არ ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს. მიღებული გამოცდილებისა და შედეგების საფუძველზე შეუძლია შეიმუშაოს მონაწილეობითი პრაქტიკების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა.

1.2 მეთოდოლოგია

თვითშეფასების კვლევის ინიციატივა ხორციელდება ბენჩმარქინგის მეთოდოლოგიის საშუალებით[1].

მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასებისთვის მონაცემების მისაღებად გამოყენებულია ერთი მხრივ, ***თვითშეფასების ელექტრონული კითხვარი,*** რომლის საშუალებითაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თავად აფასებენ მონაწილეობით პროცესებს საკუთარ მუნიციპალიტეტებში და მეორე მხრივ, ***შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ,*** რომლის შედეგადაც ვლინდება თუ რამდენად არის მონაწილეობით პროცესებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტებისა და მოქალაქეების მოსაზრებები თანხვედრაში, რა საჭიროებები და გამოწვევები აქვთ ადგილობრივ მაცხოვრებლებს და რამდენად კმაყოფილები არიან არსებული მდგომარეობით. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ობიექტური და მრავალმხრივი მონაცემების შეგროვებასა და სრული სურათის დანახვას.

კვლევის ფარგლებში ვლინდება სამი წლის ტენდენციები და ფასდება მუნიციპალიტეტში არსებული კარგი პრაქტიკები და გამოწვევები, კერძოდ: მონაწილეობითი პროცესების ხელშემწყობი დოკუმენტების, ფორმალური და დამატებითი მექანიზმების არსებობა, ასევე მათი პრაქტიკული გამოყენება და გავლენის განსაზღვრა, შესაძლებლობების გამოვლენა მონაწილეობითი კუთხით როგორც მუნიციპალიტეტში, ისე მოქალაქეების ცნობიერებისა და მოტივაციის ხარისხის შეფასება, ხუთ მუნიციპალურ სერვისში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა და სხვა. ამასთანავე, საკვლევი კითხვები მოიცავს გენდერულ საკითხებსა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას, რაც კვლევის შედეგების უფრო სიღრმისეულად გაანალიზების საშუალებას იძლევა.

თვითშეფასების ელექტრონულ კითხვარის საშუალებით რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე www.ppmeter.ge, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები აფასებენ მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხს. კითხვარი შედგება 9 ბლოკისგან, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს რამდენიმე ქვებლოკს:

I ბლოკი - „ზოგადი ინფორმაცია“
II ბლოკი - „მონაწილეობის მნიშვნელობა“
III ბლოკი - „მარეგულირებელი ჩარჩო“
IV ბლოკი - „მონაწილეობის მექანიზმები“
V ბლოკი - „დამატებითი მექანიზმები“
VI ბლოკი - „მონაწილეობის დონეები“
VII ბლოკი - „ზოგადი ტენდენციები“
VIII ბლოკი - „შესაძლებლობების განვითარება“
IX ბლოკი - “სერვისები”

[1] დეტალური მეთოდოლოგია იხილეთ ბმულზე:
https://drive.google.com/file/d/1qF8M2ROhwF5Ql8fbxmxTl8gXiUiag1HQ/view?usp=drive_link

აღსანიშნავია, რომ კითხვარში მოცემული შეკითხვები იყოფა ორ ნაწილად: შეფასებითი კითხვები (სუბიექტური), რომლის საშუალებითაც, ვლინდება მუნიციპალიტეტის ზოგადი დამოკიდებულება და მოსაზრება სხვადასხვა საკითხზე. ფაქტობრივი კითხვები (ობიექტური), რომელზე პასუხის დაფიქსირებაც გარკვეულ მონაცემების ანალიზზე დაფუძნებით უნდა მოხდეს. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მიზანია მუნიციპალიტეტში ერთიანი სურათის დანახვა, თვითშეფასების კითხვარი ივსება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ერთიანი პოზიციების შეჯერების შედეგად. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტი ელექტრონული კითხვარის შეფასების პროცესში თავს უყრის ყველა საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ხდება პასუხების გაცემა და ათავსებს მათ Google Drive-ის წინასწარ შექმნილ საქაღალდეში[2].

რაც შეეხება ფოკუს-ჯგუფებს დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც თვითშეფასების პროცესის შემადგენელი მეორე კომპონენტია, სხვადასხვა აქტორის პერსპექტივით ხდება იმავე საკითხების განხილვა და შეფასება, რაც ელექტრონულ კითხვარში მუნიციპალიტეტებმა შეაფასეს.

1.3 შეფასება

თვითშეფასების ელექტრონული კითხვარი სტანდარტიზებულია 4 ბალიან სკალაზე, რაც ნიშნავს, რომ თითოეულ კითხვაში შესაძლებელია ყველაზე კარგ შემთხვევაში 4 ქულის, ხოლო ყველაზე არასასურველ მდგომარეობაში 1 ქულის მიღება. თვითშეფასების კითხვარში რიგი კითხვები არ ფასდება. შედეგების მისაღებად გამოყენებულია ორმაგი შეწონვის სისტემა: პირველ ეტაპზე ქვებლოკში მიღებული ქულები მრავლდება ქვებლოკის შესაბამის კოეფიციენტზე და მიღებული შედეგების ჯამი ადგენს ბლოკის შეფასებას, რომლის მინიმუმი არის 1, ხოლო მაქსიმუმი 4 ქულა. საერთო შეფასების მისაღებად კი ბლოკებში მიღებული ქულები მრავლდება ბლოკებისთვის შესაბამის მინიჭებულ წონაზე, რომელთა დაჯამების საფუძველზეც მომხმარებელი იღებს საბოლოო ქულას სადაც მინიმალურია 1, ხოლო მაქსიმალური 4 ქულა.

ბლოკების კოეფიციენტი განისაზღვრა მათი შინაარსიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე. იმ ბლოკებს, რომელთა შესრულება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და არსებული სტანდარტებით მუნიციპალიტეტებისთვის უმეტესად სავალდებულოა, უფრო მაღალი წონა მიენიჭა, ხოლო ბლოკები, რომელთა შესრულება სასურველია, როგორც დამატებითი ხელშემწყობი მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გასაზრდელად, შედარებით დაბალი კოეფიციენტით შეფასდა.

აღნიშნული პროცესის შედეგად, მუნიციპალიტეტი იღებს ზოგად შეფასებას 4-დონიან სისტემაზე:

[2] ელექტრონული კითხვარის შევსების დეტალური ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე: https://drive.google.com/file/d/14YD2ZM7KJrZK2tVWfPDFQIvLogZRi2r3/view?usp=drive_link

დონე	ქულა	შეფასების განმარტება
IV დონე	3.26-დან 4 ქულა	სასურველი მდგომარეობა, მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალი ხარისხი
III დონე	2.50-დან 3.25 ქულა	მეტ-ნაკლებად სასურველი მდგომარეობა, მოქალაქეთა მონაწილეობის საშუალო ხარისხი
II დონე	1.75- დან 2.49 ქულა	ნაკლებად სასურველი მდგომარეობა, მოქალაქეთა მონაწილეობის დაბალი ხარისხი
I დონე	1-დან 1.74 ქულა	არასასურველი მდგომარეობა, მოქალაქეთა მონაწილეობის ძალიან დაბალი ხარისხი ან სიმბოლური მონაწილეობა

გარდა ზოგადი შეფასებისა, მუნიციპალიტეტი იღებს როგორც ქულობრივ, ისე ნარატიულ შეფასებას კონკრეტული საკითხების (ბლოკების) შესახებ, რაც ეხმარება მას უკეთ გამოკვეთოს პრობლემები და გამოწვევები სხვადასხვა მიმართულებით. ეს ერთგვარი რეკომენდაციებია მუნიციპალიტეტისთვის, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებს სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

აღსანიშნავია, რომ შეფასებას მუნიციპალიტეტი იღებს ელექტრონული კითხვარის საფუძველზე მიღებული ქულების შედეგად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფის მიერ მინიჭებული ქულა არ მონაწილეობს საერთო საერთო შეფასებაში, იგი აისახება როგორც ელექტრონულ კითხვარში, ასევე შეჯამებული ანგარიშის წარმოდგენისას, ნათელ და საინტერესო სურათს იძლევა.

1.4 კვლევის შეზღუდვები

- შეფასების მეთოდოლოგია დაფუძნებულია თვითშეფასებაზე, რაც გულისხმობს რომ მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ და აფასებენ საკუთარ საქმიანობას მონაწილეობის კუთხით, რაც გარკვეულწილად ქმნის საფრთხეს, რომ მიღებულ მონაცემებში სუბიექტურობის მაღალი ხარისხია. თუმცა, ეს არის სწავლებაზე ორიენტირებული, შიდა შეფასების ინსტრუმენტი და იგი არ ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს. მეთოდოლოგიის მთავარი არსი არის ის, რომ მუნიციპალიტეტები თავად აფასებენ არსებულ მდგომარეობას, ავლენენ საკუთარი საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, განსაზღვრავენ შესაძლებლობებსა და არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებს. ამასთანავე, ვერიფიკაციის წყაროების აქტიური გამოყენება, ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებს, რომ მტკიცებულებებზე დაფუძნებით განახორციელონ თვითშეფასების პროცესი, რაც მათი სუბიექტურობის ხარისხს ამცირებს.
- გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მექანიზმის მიზანია მუნიციპალიტეტმა დანერგოს თვითშეფასების პროცესი საკუთარ საქმიანობაში და თავად გაიაზროს არსებული გამოწვევები, ქულას მუნიციპალიტეტი იღებს თვითშეფასების საფუძველზე. ფოკუს-ჯგუფის შეფასება და დამატებითი ინფორმაცია ვერიფიკაციის წყაროების საშუალებით მის

შეფასების ქულაზე არ აისახება, თუმცა ანგარიშში აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია დეტალურად არის ჩაშლილი.

- თვითშეფასების მასშტაბი შეზღუდულია, რაც ნაკლებად იძლევა ექსტრაპოლირების და ზოგადად, ქვეყანაში არსებულ ტენდენციებზე საუბრის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ინსტრუმენტი მიმართულია საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენაზე, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გაღრმავებაზე, რაც შესაძლებელია იყოს მოტივაციის მიმცემი სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.
- მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფებზე მრავალფეროვანი აქტორები იყვნენ წარმოდგენილნი, ამ პროცესში მიღებული შეფასებები მხოლოდ გარკვეული ტენდენციის მაჩვენებლად შეიძლება განვიხილოთ და არა მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის მოსაზრების გამომხატველად.
- მოცემული კითხვარი არის ელექტრონული და მისი შევსების შემდეგ მომხმარებელი ავტომატურად იღებს შეფასებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ინსტრუმენტში დანერგილი პრაქტიკების შესახებ ვრცლად საუბარი შეზღუდულია. თუმცა ღია კითხვები და ზოგადი კომენტარის საშუალება, ნაწილობრივ ტოვებს სივრცეს ამგვარი ინფორმაციის გაზიარებისთვისაც.
- შეფასებაში გამოყენებულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც უშუალოდ თვითშეფასების კითხვარის და ფოკუს ჯგუფების ანალიზის შედეგად გამოვლინდა. დამატებით, ინფორმაციის გადამოწმება სხვა საშუალებებით კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა.

1.5 კვლევის პროცესი

[მზადების პროცესში]

თავი 2. ძირითადი მიგნებები

ზოგადი ინფორმაცია
(ბლოკი I)

მარნეულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლია მხარეში და წარმოადგენს თვითმმართველ თემს, რომლის ფართობიც 935 კვ$^{2.-}$ია. იგი 78 დასახლებისა და 18 ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება.

ვებ-გვერდი: marneuli.gov.ge
სოციალური ქსელი:
www.facebook.com/marneuli.gov.ge
www.facebook.com/MarneuliMunicipalityRepresentativeBody

მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 109 100 ადამიანია (საქსტატი, 2023), რომლის 77% სოფლად მაცხოვრებელია.

სულ მოსახლეობის რაოდენობა: 109100				
<16 წელი	**16-29 წელი**	**30-45 წელი**	**46-59 წელი**	**60< წელი**
30%	16%	20%	20%	14%
გენდერული გადანაწილება	**ქალი**		**კაცი**	
	49%		52%	
ქალაქში მაცხოვრებელი		**სოფელში მაცხოვრებელი**		
23%		77%		

მუნიციპალიტეტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსახლეობის 3% სოციალურად დაუცველია. აღნიშნული მონაცემი ეფუძნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების არასრულ ოფიციალურ ბაზას და მომართვიანობის სტატისტიკას. მონაცემები არასრულია (მაგალითად არ არის მოცემული რელიგიური უმცირესობების სტატისტიკა), ამასვე დროს მონაცემების დადასტურების წყაროები აღნიშნული მიმართულებით არ არის მითითებული.

შშმ პირები: 500
სოციალურად დაუცველები: 3279
იძულებით გადაადგილებული პირები: 447
ეკომიგრანტები: 459
ეთნიკური უმცირესობები: 100100
რელიგიური უმცირესობები: 0
მარტოხელა დედები: 44
ომის ვეტერანები: 16
უსახლკაროები: 196
მარჩენალდაკარგული ოჯახები: 10

მარნეულის მუნიციპალიტეტში 3142 ინდივიდუალური მეწარმე და ბიზნეს ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას დასაქმებული და უმუშევარი ადამიანების რაოდენობის შესახებ. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის არსებობს მხოლოდ რეგიონულ (და არა მუნიციპალურ) დონეზე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს: 24

მარნეულში ხუთი სათათბირო საბჭოა
- **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო**
- **გენდერული თანასწორობის საბჭო**
- **ახალგაზრდული საბჭო**
- **შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო**
- **სოციალურ საკითხთა განმხილველი საბჭო**

საზოგადოებრივი (NGO) და 9 სათემო ორგანიზაცია, 2 პროფესიული კავშირი. ადგილობრივ მედია ორგანიზაციებს წარმოადგენს: 1 ტელევიზია, 1 რადიო, 1 გაზეთი და 4 ინტერნეტ-გამოცემა.

უშუალოდ მარნეულის მუნიციპალიტეტში დასაქმებული ადამიანების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



სულ : 33 წევრი

ქალი		კაცი	
7		26	
ხელისუფლება		**ოპოზიცია**	
27		5	
აზერბაიჯანელი	**სომეხი**	**ქართველი**	**სხვა**
17	2	13	1

რაც შეეხება საკრებულოს, იგი 33 წევრისგან შედგება, რომლის 82% მმართველი პოლიტიკური ძალის, 15% კი ოპოზიციის წარმომადგენელია. 1 ადგილი ეკუთვნის დამოუკიდებელ წევრს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში ქალთა წილი I და II რანგის პოზიციებზე ასეთია:



მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები გაფანტულია, ამავე დროს მითითებულია შესაბამის პოზიციებზე დასაქმებულ პირთა სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის (LSG Index) ბოლო შეფასებით (2021 წელი), მარნეულის მუნიციპალიტეტი რეიტინგის 22%-ით 43-ე ადგილზე იმყოფება. მუნიციპალიტეტმა საერთაშორისო ორგანიზაციების (CENN, ევროკომისია, UNDP, იაპონიის საელჩო, ევროპის საბჭო) მხარდაჭერით და მათთან ერთად განახორციელა რიგი პროექტები. 2020 წელს ინიციატივა "მარნეული-მკაცრი საკარანტინე ზონა და პანდემიის მართვის ღონისძიებები" საქართველოს

ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ (NALAG) საუკეთესო პრაქტიკის გამარჯვებულად იქნა მიჩნეული.

რაც შეეხება მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, ამ კუთხით ზრდადობის ტენდენცია იკვეთება როგორც საერთო, ისე საკუთარი საბიუჯეტო მაჩვენებლების თვალსაზრისით.

2020 წელი		2021 წელი		2022 წელი	
საერთო	საკუთარი	**საერთო**	საკუთარი	**საერთო**	საკუთარი
34565555 ლარი	25508689 ლარი	**38915300 ლარი**	31720200 ლარი	**48349000 ლარი**	40075000 ლარი

აღსანიშნავია, რომ ბოლო არჩევნებში მოსახლეობის 47%-მა მიიღო მონაწილეობა. მუნიციპალიტეტს არ გაჩნია ინფორმაცია არჩევნებში მონაწილეთა შორის ქალთა ოდენობის შესახებ.

	ბლოკი I - ზოგადი ინფორმაცია		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
1.3.2.	მუნიციპალიტეტის ფართობი	√	
1.3.3	მუნიციპალიტეტის ვებგვერდი	√	
1.3.4	მუნიციპალიტეტის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)	√	
1.4.1	მუნიციპალიტეტში არსებული დასახლების რაოდენობა	√	
1.4.2	მუნიციპალიტეტში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობა	√	
1.5.1	მოსახლეობის რაოდენობა	√	
1.5.2	თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუთითეთ მოსახლეობის პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	√	მოწოდებულია 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით
1.5.3	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროცენტული განაწილება გენდერული კატეგორიების მიხედვით	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.5.4	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროცენტული განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.5.5	თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუთითეთ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების რაოდენობრივი მაჩვენებელი	x	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი (მუნიციპალიტეტის განცხადებით, მონაცემები არასრულია).
1.5.6	რამდენი საბჭო არსებობს თქვენს მუნიციპალიტეტში? (მაგალითად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, ახალგაზრდული საბჭო და სხვ.)	√	
1.5.7	ჩამოთვალეთ რომელი საბჭოები არსებობს თქვენს მუნიციპალიტეტში	√	
1.5.8	თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, რამდენი საზოგადოებრივი ორგანიზაცია (NGO) ფუნქციონირებს თქვენს მუნიციპალიტეტში?	√	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

1.5.9	თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, რამდენი სათემო ორგანიზაცია ფუნქციონირებს თქვენს მუნიციპალიტეტში?	√	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.5.10	თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუთითეთ, რამდენი ადგილობრივი მედია ორგანიზაცია ფუნქციონირებს თქვენს მუნიციპალიტეტში	v	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.5.11	მიუთითეთ, რამდენი ინდივიდუალური მეწარმე და ბიზნეს ორგანიზაცია ფუნქციონირებს თქვენს მუნიციპალიტეტში?	v	
1.5.12	თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუთითეთ, რამდენი პროფესიული კავშირი არსებობს თქვენს მუნიციპალიტეტში?	v	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.6	მიუთითეთ, მშპ ერთ სულ მოსახლეზე თქვენს მუნიციპალიტეტში (ლარში)	v	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.7	მიუთითეთ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ბოლო სამი წლის განმავლობაში	v	
1.8.1	თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუთითეთ, თქვენს მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა (საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი)		ნაწილობრივ წარმოდგენილია ვერიფიკაციის წყარო
1.8.2	თქვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუთითეთ, თქვენს მუნიციპალიტეტში უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობა		
1.8.3	მიუთითეთ, თქვენს მუნიციპალიტეტში მერიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მათ შორის ხელშეკრულებით)	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.8.4	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობრივი გადანაწილება გენდერული კატეგორიების	v	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.8.5	მიუთითეთ მერიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობრივი გადანაწილება ეთნიკურობის მიხედვით	√	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.8.6	მიუთითეთ, თქვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მათ შორის ხელშეკრულებით)	√	
1.8.7	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებული ადამიანების რაოდენობრივი გადანაწილება გენდერული კატეგორიების მიხედვით	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.8.8	მიუთითეთ საკრებულოს აპარატში დასაქმებული ადამიანების რაოდენობრივი გადანაწილება ეთნიკურობის მიხედვით	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.8.9	მიუთითეთ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში/სსიპ-ებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა	x	ნაწილობრივ წარმოდგენილია ვერიფიკაციის წყარო
1.8.10	მიუთითეთ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საწარმოებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა	x	ნაწილობრივ წარმოდგენილია ვერიფიკაციის წყარო
1.8.11	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის მერიაში I და II რანგის პოზიციებზე დასაქმებული ქალების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.8.12	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის საკრებულოში I და II რანგის პოზიციებზე დასაქმებული ქალების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.9.1	რამდენი წევრისგან შედგება თქვენი მუნიციპალიტეტის საკრებულო?	√	
1.9.2	მიუთითეთ საკრებულოს წევრების რაოდენობრივი განაწილება გენდერული კატეგორიების მიხედვით	√	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.9.3	მიუთითეთ საკრებულოს წევრების რაოდენობრივი მაჩვენებელი პარტიულობის მიხედვით	√	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

1.9.4	მიუთითეთ საკრებულოს წევრების რაოდენობრივი გადანაწილება ეთნიკური კატეგორიების მიხედვით	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.10.1	მიუთითეთ ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის (LSG Index) ბოლო შეფასებაში თქვენი მუნიციპალიტეტის შედეგი	√	
1.10.2	ჩამოთვალეთ მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე რომელ პროგრამებში/კონკურსებში მიუღია თქვენს მუნიციპალიტეტს მონაწილეობა (მაგ. საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა და ა.შ)	x	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
1.10.3	მოსახლეობის რამდენმა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა თვითმმართველობის ბოლო არჩევნებში?	√	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

ძირითადი შეფასება

საერთო შეფასება 3.11 ქულა

I დონე	II დონე	III დონე	IV დონე
1-დან 1.74 ქულა	1.75- დან 2.49 ქულა	2.50-დან 3.25 ქულა	3.26-დან 4 ქულა

ბლოკი II მონაწილეობის მნიშვნელობა	ბლოკი III მარეგულირებელი ჩარჩო	ბლოკი IV მონაწილეობის მექანიზმები	ბლოკი V- დამატებითი მექანიზმები	ბლოკი VI მონაწილეობის დონეები
3.63 ქულა	3.05 ქულა	2.77 ქულა	2.42 ქულა	3.6 ქულა

ბლოკი VII ზოგადი ტენდენციები	ბლოკი VIII შესაძლებლობების განვითარება	ბლოკი IX სერვისები
3.2 ქულა	3.5 ქულა	2.73 ქულა

მარნეულის მუნიციპალიტეტმა თვითშეფასების კითხვარში 3.11 ქულა მიიღო. აღნიშნული შედეგი ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას დიდწილად იზიარებს საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებსა და სტანდარტებს, რაც გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის ხარისხი საკმაოდ მაღალია და შეესაბამება კონსულტირების დონეს. მუნიციპალიტეტი არის ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე და მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინკლუზიურობას, პოლიტიკის ციკლის თითქმის ყველა ეტაპზე. სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მექანიზმის გამოყენებით, მუნიციპალიტეტი ხშირად ახალისებს მოქალაქეთა მონაწილეობას და რიგ შემთხვევებში, ინტერესდება მონაწილეობითი პროცესების შესახებ, მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხით.

მარნეულის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი, 10 ბალიან სისტემაში, 3,83 ქულით (3,66 და 4) შეფასდა. აქედან გამომდინარე, რომ

მუნიციპალიტეტი ინფორმირების საფეხურზეა და კონსულტირებისა და პარტნიორობის პრაქტიკები ნაკლებად არის დამკვიდრებული.

განხილვისას აღინიშნა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებობს გარკვეული მონაწილეობითი მექანიზმები და პროცესები.

თუმცა, მონაწილეთა ნაწილის აზრით, ამ საქმიანობას ფასადური ხასიათი აქვს, სათათბირო სახის შეხვედრებზე ძირითადად არაკრიტიკულად განწყობილი დაინტერესებული მხარეების მოწვევა ხდება და რეალურ მონაწილეობა არ არის უზრუნველყოფილი.

მონაწილეთა მეორე ჯგუფი აღნიშნავს მდგომარეობის გარკვეული გაუმჯობესების ტენდენციას.

„პრაქტიკაში მოქალაქეების ჩართულობით მიღწეული შედეგები და მაგალითები ჯერ არ გვაქვს, ვფიქრობ რომ ეს სიტუაცია მალე შეიცვლება დადებითისკენ, რადგან სურვილი ნამდვილად შეინიშნება თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან“.

ზოგადად აღინიშნა, რომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მოსახლეობის პასიურობა, რასაც განაპირობებს ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი, მონაწილეობის ფასადური ხასიათი და ნიჰილიზმი.

„ფორმალურად იმიტაციაში მონაწილეობის მიღება არ უნდათ. ერთხელ წავიდა, ორჯერ და მესამედ აღარ წავა, ეს არის ზუსტად მიზანი. შედეგები რომ ნახოთ, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს არ აქვთ ისეთი რაღაცები უწერიათ (მუნიციპალიტეტს). პოლიტიკური ნება არსებობს რომ ასეთი გარემო არსებობდეს“.

მონაწილეობის მნიშვნელობა (ბლოკი II)

აღნიშნულ ბლოკში, მარნეულის მუნიციპალიტეტმა 3.63 ქულა დააგროვა, რაც გულისხმობს, რომ მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესების მნიშვნელობა კარგად არის გაცნობიერებული. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს არამხოლოდ ექსპერტულ დახმარებას, არამედ ახალისებს მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესებს სხვადასხვა საშუალების გამოყენებით.

მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა 3.63 /**4** ქულა	
დამოკიდებულება 2.5 /2.**8**	**წახალისება** 1.13 **/1.2**

თვითშეფასების კითხვარში აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ,,ახალგაზრდობის მხარდაჭერის“ საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში ,,ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესი “

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ღიაა თანამშრომლობისთვის და მათთან კომუნიკაციაც გამარტივებულია:

მონაწილეთა მეორე ნაწილი სრულიად საპირისპიროდ ხედავს მოვლენებს და აღნიშნავს, რომ კომუნიკაციის სერიოზული პრობლემაა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ არ არის კარგი დამოკიდებულება და ფაქტობრივად არ თანამშრომლობენ არანაირ საკითხზე მათთან.

ზოგადად, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ხელისუფლების წარმომადგენლები მოქალაქეებს არ უყურებენ თანასწორად, მათ კითხვებს უგულებელყოფენ, ან მიიჩნევენ რომ დასმული საკითხების განსახილველად ადგილი არასწორად არის შერჩეული. თუმცა ბოლო ხანებში გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციები (მაგ. მოსახლეობასთან გახშირებული შეხვედრები, კონკურსები და ახალგაზრდული იდეების წამახალისებელი პროგრამები). ამავე დროს, მუნიციპალიტეტი ნაკლებად ცდილობს გაზარდოს მოქალაქეთა მოტივაცია და აამაღლოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონე.

	ქვებლოკი 2.2		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
2.2.2	ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებობს ყოველწლიური პროგრამები, რომელიც ახალისებს საზოგადოებრივი მონაწილეობის პროცესის მხარდამჭერ მოქალაქეებს ან მოქალაქეთა ჯგუფებს	v	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი - საკრებულოს დადგენილების შესაბამისად (ახალგაზრდობის მხარდაჭერა)
2.2.3	ძირითადად ვისთვის არის ამგვარი პროგრამები განკუთვნილი?	v	იხ. წინა კომენტარი
2.2.4	ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებობს საზოგადოებრივი მონაწილეობის აქტიური ხელშეწყობისთვის საჯარო მოხელეების შიდა წახალისების მექანიზმი	v	იხ. წინა კომენტარი
2.2.5	ჩვენ ვთავაზობთ მოქალაქეებს სივრცეს, სადაც შეუძლიათ შეიკრიბონ და გამართონ საჯარო დისკუსიები, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

მონაწილეობის მარეგულირებელი ჩარჩო (ბლოკი III)

მესამე ბლოკში, რომელიც განიხილავს მოქალაქეთა მონაწილეობის მარეგულირებელ ჩარჩოს და მონაწილეობითი პროცესების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს, მარნეულის მუნიციპალიტეტმა მიიღო 3.05 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია ხედვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ, თუმცა იგი ინსტიტუციონალიზებული არ არის. მუნიციპალიტეტი რეგულარულად აფასებს მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესს და მხოლოდ მყისიერ შედეგებს. იგი საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს ფინანსურ რესურსს მონაწილეობითი პროცესის უზრუნველსაყოფად.

სტრატეგია/ხედვა	ყოველწლიური ანგარიში	სახელმძღვანელო	სამუშაო აღწერილობა	ბიუჯეტი	საკრებულოს მიერ კონტროლი/ზედამხედველობა
0.23 /**0.6**	0.45 /**0.6**	0.4 /**0.6**	0.6 /**0.6**	0.64 /**0.8**	0,73/**0.8**

მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული პასუხებიდან იკვეთება, რომ ადგილობრივ დონეზე არ არის შემუშავებული მოქალაქეთა მონაწილეობასთან დაკავშირებული ხედვის/სტრატეგიის

დოკუმენტი, შესაბამისად არ ხდება აღნიშნული დოკუმენტის შესრულების მონიტორინგი და ზედამხედველობა.

როგორც თვითშეფასებიდან ვლინდება, საკრებულოს თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას მონაწილეობითი პროცესებისა და შედეგების შესახებ. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დოკუმენტი - საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის ანგარიში.

ელექტრონული კითხვარის ანალიზმა გამოავლინა, რომ მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი პროცედურების ნაკრები, რომელიც დაეხმარება საჯარო მოხელეებს განსაზღვრონ მონაწილეობითი მიდგომების გამოყენების საჭიროება. ამასთანავე, არ არის დამხმარე ინსტრუქცია მოხელეთათვის, თუ როგორ წარმართონ მონაწილეობითი პროცესები და როგორ უზრუნველყონ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოხელეთა მოვალეობა განისაზღვრება სხვადასხვა საზოგადოებრივი საბჭოების დებულებებში ხელშეწყობის ვალდებულების ასახვით.

მუნიციპალიტეტმა თვითშეფასების პროცესში აღნიშნა, რომ ბიუჯეტში პროგრამების/ქვეპროგრამების სახით გამოყოფილია თანხები შემდეგი მიმართულებებით:

- გენდერული თანასწორობის საკითხები
- ეთნიკური თანასწორობის საკითხები
- შშმ პირთა ინკლუზიის საკითხები
- სოციალურად დაუცველ პირთა საკითხები
- იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხები

ამავე დროს ამ პროგრამებში არ არსებობს ამ მექანიზმების განხორციელების მხარდასაჭერად მონაწილეობითი პროცესების ხელშეწყობისთვის.

მონაწილეობითი პროცესების ზედამხედველობის შესაძლებლობებს საკრებულო ნაკლებად იყენებს, თუმცა აქტიურად მონაწილეობს საბიუჯეტო ანგარიშგების პროცესში. ანგარიშგების შესახებ არსებული ინფორმაცია საკმაოდ სრულადაა განთავსებული მუნიციპალურ ვებ გვერდზე.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით, ჩართულობის პროცესები ნაკლებად არის ინსტიტუციონალიზებული და ძირითადად კონკრეტული პიროვნებების კეთილ ნებაზე, პოლიტიკურ ნებაზე, პირად განწყობებზე და ნაცნობობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ჩართულობისა და კომუნიკაციების პრაქტიკებიც ინდივიდების მიხედვით იცვლება მუნიციპალიტეტში.

„მოთხოვნა არის ის რომ ეს ყველაფერი იყოს ინსტიტუციურ დონეზე და არა პიროვნულ, ინდივიდუალურ ან პოლიტიკურ ნებაზე დაყრდნობილი ინიციატივა, ეს უნდა იყოს ინსტიტუციურად, ჩამოყალიბებულად, სტრუქტურულად და მოქალაქეს არ უნდა ჰქონდეს იმისი მოსაზრება, რომ ხვალ თუ შეიცვლება მერი ან საკრებულოს თანამშრომელი, საკრებულოს წარმომადგენლები, ეს აღარ იქნება“, - აღნიშნა მონაწილემ.

აღინიშნა, რომ მონაწილეობით პროცესების გააქტიურებას მნიშვნელოვნად აზიანებს რეალური დეცენტრალიზაციის ნაკლებობა და მუნიციპალიტეტში შესაბამისი უფლებამოსილების არ ქონა.

	ქვებლოკი 3.1 - სტრატეგია/ხედვა		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
3.1.1	მერიას შემუშავებული აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთიანი სტრატეგიის/ხედვის დოკუმენტი		
3.1.2	საკრებულოს შემუშავებული აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთიანი სტრატეგიის/ხედვის დოკუმენტი		
3.1.3	საკრებულო აწარმოებს მონიტორინგს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ერთიანი სტრატეგიის/ხედვის დოკუმენტის შესრულების მდგომარეობის შესახებ და ამზადებს ანგარიშებს		
3.1.4	რა ფორმით ახორციელებს საკრებულო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ერთიანი სტრატეგიის/ხედვის დოკუმენტის შესრულების მდგომარეობის ზედამხედველობას?		
	ქვებლოკი 3.2 ყოველწლიური ანგარიში		
3.2.1	მერის ყოველწლიური ანგარის დოკუმენტში ასახული ინფორმაცია მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
3.2.2	საკრებულოს თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიშის დოკუმენტი ასახავს ინფორმაციას მოქალაქეთა მონაწილეობის:	×	2020 წლის დოკუმენტი არ ასახავს აღნიშნულ ინფორმაციას
	ქვებლოკი 3.3 სახელმძღვანელო		
3.3.1	მუნიციპალიტეტს აქვს დოკუმენტი (პროტოკოლი, პროცედურების ნაკრები), რომელიც ეხმარება საჯარო მოხელეებს განსაზღვრონ როდის და რატომ უნდა გამოიყენონ მონაწილეობითი მიდგომა		
3.2.2	მუნიციპალიტეტს აქვს შიდა ინსტრუქციები საჯარო მოხელეებისთვის, როგორ უნდა წარმართონ მონაწილეობითი პროცესი (ფასილიტაცია)		
3.2.3	მუნიციპალიტეტს აქვს შიდა დოკუმენტი (პროტოკოლი, პროცედურების ნაკრები), რომელიც ეხმარება საჯარო მოხელეებს უზრუნველყონ ქალებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (მაგ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, სოციალურად დაუცველი პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, შშმ პირები და ა.შ.) ჩართულობა მონაწილეობითი მიდგომების გამოყენებისას	v	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
	ქვებლოკი 3.4 სამუშაო აღწერილობა		
3.4.1	საჯარო მოხელეების სამუშაო აღწერილობაში ასახულია მონაწილეობითი პროცესების მხარდაჭერა და წახალისება	×	დოკუმენტაციაში მონაწილეობის მხარდაჭერა არ არის ასახული
	ქვებლოკი 3.5 ბიუჯეტი		
3.5.1	არის თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობისთვის ფინანსური რესურსი გამოყოფილი მუნიციპალიტეტის საერთო ბიუჯეტიდან?	v	2.2 ბლოკში მოცემულია ახალგაზრდობის საბიუჯეტო პროგრამა
3.5.2	როგორ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხს?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
3.5.3	მთლიანი ბიუჯეტის რამდენ პროცენტს შეადგენს მონაწილეობითი პროცესისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
3.5.4	რამდენად არის მონაწილეობის პროცესებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი მიზნობრივად ათვისებული?	v	
3.5.5	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პროგრამის/ქვეპროგრამის სახით გათვალისწინებულია	v	

3.5.6	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები მონაწილეობის მექანიზმების განხორციელების მხარდასაჭერად	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
	ქვებლოკი 3.5 საკრებულოს მიერ კონტროლი/ზედამხედველობა		
3.6.1	მუნიციპალიტეტში დამკვიდრებულია საკრებულოს მიერ (წევრის, კომისიების, ფრაქციის, ბიუროს) აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლების	v	
3.6.2	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ ამგვარი შემთხვევების რაოდენობა ბოლო სამი წლის მანძილზე	v	
3.6.3	საკრებულოს წევრები იყენებენ აღმასრულებელი ორგანოებისთვის კითხვით მიმართვის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მონაწილეობით პროცესებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად	v	
3.6.4	მიუთითეთ ამგვარი შემთხვევების რაოდენობა ბოლო სამი წლის მანძილზე	v	
3.6.5	საკრებულოს მიერ, მოქალაქეთა მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ აღმასრულებელი ორგანოსგან ინფორმაციას იღებს:	v	
3.6.6	მიუთითეთ ამგვარი შემთხვევების რაოდენობა ბოლო სამი წლის მანძილზე	v	ნაწილობრივ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

მონაწილეობის მექანიზმები (ბლოკი IV)

მონაწილეობის მექანიზმის ბლოკი აფასებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულ სავალდებულო მექანიზმებსა და მათ ეფექტურობას. როგორც თვითშეფასებიდან გამოიკვეთა, მარნეულის მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული მექანიზმების უმრავლესობას (2.77 ქულა). იგი მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ, სხვადასხვა საშუალებით, ავრცელებს მეტ-ნაკლებად სრულ ინფორმაციას ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. ასევე, უზრუნველყოფს მონაწილეთათვის თანასწორ გარემოს და აძლევს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. მუნიციპალიტეტი მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს მონაწილეთა წვლილს საბოლოო გადაწყვეტილებაში და ხშირად უზრუნველყოფს მიღებულ შედეგებზე უკუკავშირს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.

მონაწილეობის მექანიზმები 2.77 /4 ქულა						
დასახლების საერთო კრება	პეტიცია	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება	მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა	ბიუჯეტის შემუშავება	გენდერული თანასწორობის საბჭო
0.15 /**0.6**	0.37 **/0.6**	0.54 **/0.6**	0.36 **/0.6**	0.28 **/0.4**	0.53 **/0.6**	0.54/**0.6**

დასახლების საერთო კრება - როგორც თვითშეფასების კითხვარით, ისე ფოკუს ჯგუფის შეფასებით გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრების მექანიზმის გამოყენება აქტიურად მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

თვითშეფასების კითხვარის მიხედვით კი ირკვევა, რომ დასახლების საერთო კრებები (ორგანული კანონით განსაზღვრული ფორმით) მარნეული მუნიციპალიტეტში საერთოდ არ ჩატარებულა ბოლო სამი წლის მანძილზე.

	ქვებლოკი 4.1		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
4.1.1	ჩატარდა თუ არა დასახლების საერთო კრება თქვენს მუნიციპალიტეტში ბოლო 3 წლის მანძილზე		
4.1.2	ჩაწერეთ მუნიციპალიტეტში ჩატარებული კრების რაოდენობა წლების მიხედვით		
4.1.3	თქვენი შეფასებით, დასახლების საერთო კრებების ჩატარების ტენდენცია არის:		
4.1.5	თქვენს მუნიციპალიტეტში საერთო კრების რჩეული ჰყავს:		
4.1.6	განსაზღვრეთ, რამდენი დასახლების საერთო კრების ინიციატორი იყო თითოეული აქტორი		
4.1.7	განსაზღვრეთ, დასახლების საერთო კრების მიერ ინიციირებული საკითხების რაოდენობა საკრებულოსა და მერიაში		
4.1.8	განსაზღვრეთ, დასახლების საერთო კრების მიერ წარდგენილი საკითხებიდან რამდენი დაამტკიცა საკრებულომ და გაითვალისწინა მერიამ?		
4.1.9	დასახლების საერთო კრების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა		
4.1.10	პერიოდულად დგება ანგარიში/ აკუმულირდება ინფორმაცია დასახლების საერთო კრების საქმიანობის შესახებ (ჩატარებული კრებების რაოდენობის, განხილული და ინიციირებული საკითხების, ინიციირებულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის უკუკავშირის შესახებ და სხვა)		

პეტიცია - მარნეულის მუნიციპალიტეტში აღნიშნული მექანიზმის გამოყენება არ ფიქსირდება. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეაგროვა ხელმოწერების სათანადო რაოდენობა, თუმცა დაირღვა სამართლებრივი პროცედურები და აღნიშნული პეტიცია საკრებულომ არ დაარეგისტრირა.

თვითშეფასების კითხვარში მითითებულია ინფორმაცია ერთი პეტიციის წარდგენის შესახებ, რაც განხილულ იქნა, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული.

	ქვებლოკი 4.2 პეტიცია		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
4.2.1	მიუთითეთ თქვენს მუნიციპალიტეტში წარდგენილი პეტიციების რაოდენობა	v	
4.2.2	თქვენი შეფასებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, პეტიციის (მათ შორის ელექტრონული პეტიციის) წარდგენის ტენდენცია	v	
4.2.4	პეტიციის წარდგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ამომრჩევლის	v	
4.2.5	აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს ელექტრონული პეტიციის წარდგენის შესაძლებლობა დანერგილი?		
4.2.6	პეტიციის წარდგენისას ძირითადად რომელი ფორმა გამოიყენება?	v	

4.2.7	მიუთითეთ, თქვენს მუნიციპალიტეტში საკრებულოს მიერ განხილული პეტიციების რაოდენობა	v	
4.2.8	მიუთითეთ, თქვენს მუნიციპალიტეტში საკრებულოს მიერ დაკმაყოფილებული პეტიციების რაოდენობა	v	
4.2.9	რამდენი პეტიცია დააკმაყოფილა საკრებულომ ბოლო 3 წლის მანძილზე?	v	
4.2.10	განსაზღვრეთ, რამდენი პეტიციის ინიციატორი იყო თითოეული აქტორი	v	
4.2.11	მონიშნეთ, პეტიციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზები:	v	
4.2.12	საკრებულოს მიერ დაკმაყოფილებული პეტიციებიდან რამდენი განხორციელდა ბოლო სამი წლის მანძილზე?	v	
4.2.14	პეტიციის განხილვის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად მიმდინარეობს კოორდინაცია მერიასა და საკრებულოს შორის	v	
4.2.15	პეტიციის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველთვის შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ ვადებთან	v	
4.2.16	პეტიციის განხილვის პროცესისა და შედეგების შესახებ ინიციატორისთვის ინფორმაციის მიწოდება	v	
4.2.17	გაქვთ თუ არა წარდგენილი პეტიციების რეესტრი?		არა - წარმოდგენილი იყო მხოლოდ 1 პეტიცია
4.2.18	წარდგენილი პეტიციების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.2.19	საკრებულო ინტერესდება/თვალს ადევნებს უფლებამოსილების შესაბამისად მერიისთვის განსახილველად გაგზავნილი/ გადამისამართებული პეტიციების განხილვა-განხორციელების პროცესს	v	პროცედურა ასახულია საკრებულოს რეგლამენტში

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - ფოკუს ჯგუფებს მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საბჭოს საქმიანობა არ არის გამჭვირვალე და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ნაკლებად ვრცელდება.

„მერის მრჩეველთა საბჭო, მარტო წევრებმა იციან როდის შეიკრიბნენ და რას აკეთებენ. საჯაროდაც არ იდება ინფორმაცია.“

რაც შეეხება დაკომპლექტების პროცესს, მონაწილეთა შეფასებით, იგი მერის შერჩევით განხორციელდა და არ მიეცა ყველას თანაბარი შანსი გამხდარიყო საბჭოს წევრი.

თვითშეფასების კითხვარის თანახმად მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის (სხდომის გამართვის თარიღის, დროის, დღის წესრიგისა და განსახილველი საკითხების შესახებ მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელის, ვებ-გვერდისა და პირისპირ შეხვედრების საშუალებით, თუმცა შესაბამისი დოკუმენტაცია არ არის

წარმოდგენილი. მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობა საბჭოს რეგლამენტში არ არის წარმოდგენილი.

	ქვებლოკი 3.1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
4.3.1	არსებობს თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო?	v	
4.3.2	რამდენად შეესაბამება მუნიციპალიტეტში არსებული მრჩეველთა საბჭოს მუშაობა დადგენილ დებულებას?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.3	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების პროცესი გამჭვირვალეა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გამოხატოს ინტერესი საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.4	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში რამდენი საკითხია ინიციირებული თითოეული აქტორის მიერ?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.6	მიუთითეთ მუნიციპალიტეტისთვის წარდგენილი რეკომენდაციების რაოდენობა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.7	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.8	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენილი რამდენი რეკომენდაცია გაითვალისწინა მუნიციპალიტეტმა ბოლო 3 წლის მანძილზე?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.9	განსაზღვრეთ, გათვალისწინებული რეკომენდაციებიდან რამდენი იყო ინიციირებული თითოეული აქტორის მიერ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.10	რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში საბჭოს მიეწოდება ინფორმაცია	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.11	მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობას	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.12	მრჩეველთა საბჭოს სხდომების შესახებ წინასწარ ქვეყნდება ინფორმაცია	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.3.13	მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წყაროები	v	ნაწილობრივ: ვებ გვერდზე წარმოდგენილია 2 ოქმი
4.3.14	როგორ რთავს მრჩეველთა საბჭო მოქალაქეებს საკუთარ საქმიანობაში?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება - თვითშეფასების კითხვარით მუნიციპალიტეტში საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა დასწრების ტენდენცია უარყოფითია და ამ მექანიზმის გამოყენება აქტიურად არ ხდება, რაც მუნიციპალიტეტის აზრით, მოსახლეობის მოტივაციის დაბალი ხარისხით აიხსნება. მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ გამოყოფილი სივრცით, გაეცნონ შესაბამის დოკუმენტაციას და წინასწარი რეგისტრაციის გარეშე დაესწრონ სხდომებს. მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგლამენტით გათვალისწინებულია პირდაპირი ტრანსლაციის მექანიზმი.

	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დამსწრეთა რაოდენობა
2020	9
2021	31
2022	3

დაინტერესებული მხარეების ინიციატივებისა და რეკომენდაციების აღრიცხვა არ ხდება. მუნიციპალიტეტი სხდომების შესახებ სრულ ინფორმაციას წინასწარ სოციალური ქსელების საშუალებით ავრცელებს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა გამოკვეთეს დადებითი ტენდენცია საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობის კუთხით - კრების გამართვის შესახებ ინფორმაციის დროულად გავრცელება და სხდომების ლაივ რეჟიმში გაშუქება, რომელიც მედიის მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად განხორციელდა.

ამასთანავე აღინიშნა, რომ კითხვის დასმის საშუალება საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეებს აქვთ, თუმცა ამგვარი შემთხვევების რაოდენობა ძალიან ცოტაა, რადგან მოსახლეობა არ ესწრება სხდომებს. ამის მიზეზად ერთ-ერთმა მონაწილემ საკრებულოს წევრების დამოკიდებულება დაასახელა:

„საკრებულოს სხდომებზე არც მოგინდება მისვლა. ჩვენთან არ არის წახალისებული კრიტიკული აზრი მერიის და საკრებულოს მხრიდან. რომ იცი რომ ყველა ეჭვის თვალით გიყურებს - ნეტავ რა უნდა?- ასეთი დამოკიდებულება აქვთ ხალხის მიმართ, რატომ მიხვალ?

გამოწვევად დასახელდა საკრებულოს სხდომათა დარბაზის ზომა. მისი მცირე ზომიდან გამომდინარე, რთული და მოუხერხებელია სხდომებზე დასწრება როგორც მედიის, ისე მოქალაქეებისთვის.

მონაწილეებმა დადებით ფაქტორად გამოკვეთეს, რომ საკრებულო სისტემატურად აქვეყნებს ანონსებს საკრებულოს სხდომის გამართვის შესახებ რამდენიმე ენაზე.

„ერთი კვირით ადრე ქვეყნდება აღნიშნული ინფორმაცია ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე; მოსახლეობას თუ სურს საკრებულოს სხდომაზე დასწრება, აქვს ინფორმაცია როდის ჩატარდება იგი.“

თუმცა, არსებობს გამოწვევები ბიუროებისა და სხვა სამუშაო ჯგუფების (კომისიების) საქმიანობის შესახებ ანონსებისა და ინფორმაციის გავრცელების კუთხით. აღნიშნული პროცესების ღიაობა და გამჭვირვალობა მონაწილეთა შეფასებით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ძირეულად საკითხების განხილვა სწორედ ამგვარ სხდომებზე ხდება.

	ქვებლოკი 4.2 საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
4.4.1	მიუთითეთ საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა	v	მითითებულია შესაბამისი ოქმის ნომრები
4.4.4	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება და მოსაზრების დაფიქსირება შესაძლებელია	v	საკრებულოს რეგლამენტი

4.4.5	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომების შესახებ მოქალაქეებისთვის წინასწარ ხელმისაწვდომია ინფორმაცია:	v	მითითებულია ლინქები
4.4.6	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომების შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საშუალებებით:	v	მითითებულია ლინქები
4.4.7	მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა	v	საკრებულოს რეგლამენტი
4.4.8	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის ჩატარებული სხდომების შესახებ ხელმისაწვდომია	v	მითითებულია ლინქები
4.4.9	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმებში ასახულია დაინტერესებული მხარეების ინიციატივები/რეკომენდაციები	v	მითითებულია ლინქები
4.4.10	რამდენი ამგვარი ინიციატივა/რეკომენდაცია დაკმაყოფილდა ბოლო სამი წლის მანძილზე?	×	აღრიცხვა არ ხდება

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა - ანგარიშის წარდგენაზე მოქალაქეთა დასწრების ტენდენცია მუნიციპალიტეტმა შედარებით უფრო პოზიტიურად შეაფასა, რის მიზეზადაც მოსახლეობის მოტივაცია მიიჩნია. როგორც თვითშეფასების კითხვარში აღინიშნა, ინფორმაცია ანგარიშის წარდგენის შესახებ ვრცელდება მერიისა და საკრებულოს ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

	მერის ანგარიშების მოსმენაზე დამსწრეთა რაოდენობა	საკრებულოს წევრების ანგარიშების მოსმენაზე დამსწრეთა რაოდენობა
2020	8	5
2021	10	7
2022	11	14

თვითშეფასებაში აღინიშნა, რომ მოქალაქეებისთვის ასევე ხელმისაწვდომია საკრებულოს წევრების ანგარიშები.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტების ლინქები.

	ქვებლოკი 4.5 მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
4.5.1	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა (გთხოვთ პასუხი მიუთითოთ წლების ზრდადობის მიხედვით)	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.5.2	მიუთითეთ საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.5.3	თქვენი შეფასებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე მოქალაქეთა დასწრების ტენდენცია არის	v	
4.5.5	მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე ძირითადად ესწრებიან:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი - მითითებულია მხოლოდ სხდომის ლინქები / განრიგი

4.5.6	გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშებს აწარმოებს და აქვეყნებს	v	წარმოდგენილია ანგარიშების ნაწილი
4.5.7	მუნიციპალიტეტში შემუშავებული და დადგენილია მერისა და საკრებულოს წევრების ანგარიშგების ერთიანი ფორმები		
4.5.8	მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში აფასებს მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმებს	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.5.9	ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის შესახებ მოქალაქეებისთვის წინასწარ ხელმისაწვდომია ინფორმაცია:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.5.10	ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ღონისძიების შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საშუალებებით:	v	წარმოდგენილია ლინქები
4.5.11	ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ღონისძიების დღის წესრიგში გათვალისწინებულია მოქალაქეთა კითხვებისა და კომენტარებისთვის განსაზღვრული დრო	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.5.12	ყოველწლიური ანგარიშის დოკუმენტი ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის	v	
4.5.13	ყოველწლიური ანგარიშის დოკუმენტი ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის	v	
4.5.14	მუნიციპალიტეტის მერი, გაწეული მუშაობის შესახებ წარადგენს ანგარიშს მოსახლეობასთან არაუგვიანეს 1 ნოემბრისა	v	ნაწილობრივ: წარმოდგენილია ნაწილი
4.5.15	გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოსახლეობასთან წარადგენს	×	წარმოდგენილია ანგარიშების ნაწილი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავება - როგორც თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, მარნეულის მუნიციპალიტეტში:

- ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ბოლო სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად იმართებოდა 2 საჯარო კონსულტაცია,
- აღნიშნული საკითხები განიხილებოდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ კრებებზე, რომლებსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში, შესაბამისად, 9605, 9480 და 10048 პირი დაესწრო,
- ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაში 2021 წელს - 13, 2022 წელს - 17, 2023 წელს 21 მოქალაქე მონაწილეობდა,
- საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებისას გაიმართა 6 საკონსულტაციო შეხვედრა.

თუმცა შეხვედრების ნაწილში (მაგალითად საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებისა და განხილვა) დამსწრეთა აღრიცხვა არ ხდება. ასევე არ დგება ოქმები რიგი შეხვედრების შემდეგ.

თვითშეფასების კითხვარში მუნიციპალიტეტი მოქალაქეთა დასწრების ტენდენციას უფრო პოზიტიურად, ვიდრე ნეგატიურად აფასებს.

აღნიშნულ პროცესში ძირითადად მრჩეველთა, გენდერული, ახალგაზრდული და შშმ პირთა საბჭოების წარმომადგენლები, ექსპერტები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ესწრებიან.

ბიუჯეტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდის, სოციალური ქსელისა და მედიის მეშვეობით.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილის აზრით, მუნიციპალიტეტს ნაკლებად აქვს სურვილი, რომ მოსახლეობა ჩაერთოს. არ ხდება შესაბამისი ანონსისა და ინფორმაციის გავრცელება, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ პროცესებში თანამონაწილეობა. ამასთანავე, არაქართულენოვან მოსახლეობას არ აქვს შესაძლებლობა გაეცნოს ბიუჯეტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას მათთვის გასაგებ ენაზე.

„საბიუჯეტო პრიორიტეტების განხილვაზე ხომ შემთხვევით მოვხვდით, 24 საათიან რეჟიმში თვალყურს ვადევნებთ და ჩვენც კი არ ვიცოდით რომ ასეთი რამე ხდებოდა“.

ამავე დროს აღინიშნა, რომ საბიუჯეტო ინიციატივების კუთხით არსებობდა თანამშრომლობის პრეცედენტები მუნიციპალიტეტსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, თუმცა პროექტის დასრულების შემდეგ ამგვარი ტენდენცია აღარ შეინიშნება.

„სანამ ეს დონორი ორგანიზაცია ჩართული იყო ამ პროცესში, ზედამხედველობდა და თანამშრომლობდა, ერთი-ორი წელი, ადგილობრივი თვითმმართველობა პროცესში იყო ჩართული, კითხულობდნენ ამ ინიციატივებს, იღებდნენ მოქალაქეებს. თუმცა, როგორც აღინიშნა, პროექტის დასრულების შემდეგ, ეს პროცესი შეჩერდა.“

	ქვებლოკი 4.6 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავება		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
4.6.1	რამდენი საჯარო კონსულტაცია გაიმართა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ბოლო სამი წლის განმავლობაში?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.6.2	მიუთითეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებაში მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.6.3	მიუთითეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.6.6	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის საკონსულტაციო პროცესებში მონაწილეობენ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.6.7	მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მერი ბრძანებით განსაზღვრავს მონაწილეობის კონკრეტულ გეგმასა და პასუხისმგებელი პირებს	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.6.8	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად მერი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.6.9	მუნიციპალიტეტის მერიამ პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებისას საკონსულტაციო პროცესების რა რაოდენობა გამართა შემდეგი საშუალებებით?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.6.10	მუნიციპალიტეტის საკრებულომ საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებული საკონსულტაციო პროცესების რა რაოდენობა გამართა შემდეგი საშუალებებით		
4.6.11	მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და ბიუჯეტის პროექტი	v	
4.6.12	ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებული საჯარო კონსულტაციების ღონისძიების შესახებ მოქალაქეებისთვის წინასწარ ხელმისაწვდომია ინფორმაცია:	v	

4.6.13	ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებული საჯარო კონსულტაციების ღონისძიების შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საშუალებებით:	v	
4.6.14	საჯარო კონსულტაციების ღონისძიების დღის წესრიგში გათვალისწინებულია დრო მოქალაქეთა კითხვებისა და კომენტარებისთვის	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.6.15	საკრებულო, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს დამტკიცებამდე საჯარო განხილვისთვის წარადგენს	v	
4.6.16	მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია	v	

გენდერული თანასწორობის საბჭო- მუნიციპალიტეტში გენდერული საბჭოს საქმიანობა ეფექტურად შეფასდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ და მიიჩნიეს, რომ მას აქვს სამოქმედო გეგმა და საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს რიგ აქტივობებს. თუმცა საბჭოს დებულების მოძიება ვებ გვერდზე ვერ მოხერხდა.

ინფორმაცია გენდერული საბჭოს საქმიანობის შესახებ სოციალური ქსელითა და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით ვრცელდება. საბჭოს რიგი ინიციატივები გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ.

	წარდგენილი რეკომენდაციების რაოდენობა	გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა
2020	2	1
2021	2	1
2022	3	2

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა განცხადებით საბჭოს საქმიანობისთვის თანხა მუნიციპალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია, თუმცა შედეგების შესახებ ინფორმაციას ნაკლებად ფლობენ.

	ქვებლოკი 4.7 გენდერული თანასწორობის საბჭო		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
4.7.1	არსებობს თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭო?	v	
4.7.2	გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობა შეესაბამება დადგენილ დებულებას	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.7.3	გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით ან/და საკრებულოს რეგლამენტით	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.7.4	გენდერული თანასწორობის საბჭოს დაკომპლექტების პროცესი გამჭვირვალეა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გამოხატონ ინტერესი საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.7.6	გენდერული თანასწორობის საბჭოს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა	v	
4.7.7	გენდერული თანასწორობის საბჭო საქმიანობის ფარგლებში	v	წარმოდგენილია დოკუმენტაციის ნაწილი
4.7.8	გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია	v	
4.7.9	გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომობის საშუალებები:	v	

4.7.10	მიუთითეთ საბჭოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის წარდგენილი რეკომენდაციების რაოდენობა ბოლო სამი წლის მანძილზე	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.7.11	მიუთითეთ საბჭოს მიერ წარდგენილი რეკომენდაციებიდან რამდენი გაითვალისწინა მუნიციპალიტეტმა ბოლო სამი წლის მანძილზე	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.7.12	გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ წარდგენილი რამდენი რეკომენდაცია გაითვალისწინა მუნიციპალიტეტმა ბოლო 3 წლის მანძილზე?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.7.13	რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საბჭოს წევრებს მიეწოდებათ ინფორმაცია	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.7.14	მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობას:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
4.7.15	როგორ რთავს გენდერული თანასწორობის საბჭო მოქალაქეებს საკუთარ საქმიანობაში?	v	

დამატებითი მექანიზმები (ბლოკი V)

აღნიშნულ ბლოკში მარნეულის მუნიციპალიტეტმა მიიღო 2.42 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას იშვიათად მიმართავს თვითმმართველობის კოდექსის მიღმა არსებულ მონაწილეობის მექანიზმებს, მათ შორის სათათბირო საბჭოებს. იგი, რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფს მოქალაქეთა რეალურ მონაწილეობას დამატებითი მექანიზმების საშუალებით, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დიდწილად არ ასახავს მოქალაქეთა მოსაზრებებს და მიღებულ რეკომენდაციებს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა დამატებითი მექანიზმებიდან ძირითადად გამოყვეს საბჭოები, თუმცა მონაწილეთა მოსაზრებით, აღნიშნული საბჭოები უმეტესად ფორმალური ხასიათისაა და რეალური სამუშაო პროცესი არ მიმდინარეობს. გარდა მრჩეველთა, გენდერული, ახალგაზრდული და შშმ პირთა საბჭოებისა ფუნქციონირებს სოციალურ საკითხთა საბჭო.

მონაწილეობის კუთხით ყველაზე აქტიურ მექანიზმად მონაწილეებმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართული სოფლის კრებები დაასახელეს.

„სოფლის პროგრამის გარდა რეალურად მუნიციპალიტეტებს ნაკლებად აქვთ კომუნიკაცია. ჩართულობაზე აღარც მინდა საუბარი“.

მონაწილეობითი ბიუჯეტის/სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა მარნეულის მუნიციპალიტეტში 2020-2022 წლებში არ ფუნქციონირებს, თუმცა მარნეული საქართველოში პირველი მუნიციპალიტეტი იყო, რომელმაც 2015 წლიდან ეს პროგრამა დანერგა და იგი 2017 წლამდე მოქმედებდა.

ახალგაზრდული საბჭო - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საბჭოს გააჩნია საქმიანობის წესი-დებულება, ღია და გამჭვირვალეა მისი დაკომპლექტების პროცესი. მუნიციპალიტეტში შემუშავებულია ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია. ამავე დროს არ ჩანს, მუნიციპალური ბიუჯეტიდან ხდება თუ არა საბჭოს ფუნქციონირების მხარდაჭერა.

ფუნქციონირების მანძილზე საბჭოს მუნიციპალიტეტისათვის არც ერთი რეკომენდაცია არ წარუდგენია.

ფოკუს-ჯგუფებზე აღინიშნა, რომ საბჭოს წევრები მონაწილეები ღია კონკურსის და გასაუბრების საფუძველზე შეირჩნენ. თუმცა, ზოგი მონაწილის აზრით, ძირითადად ის პირები შეირჩნენ, ვისაც აქვს გარკვეული კავშირი მუნიციპალიტეტთან, ან უფრო ლოიალურად არიან განწყობილნი ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

	ქვებლოკი 5.2 ახალგაზრდული საბჭო		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
5.2.1	არსებობს თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში მერთან არსებული ახალგაზრდული საბჭო?	v	
5.2.2	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხები ახალგაზრდული საბჭოს აქტივობებისთვის	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.2.3	ახალგაზრდულ საბჭოს შემუშავებული აქვს საქმიანობის წესი-დებულება	v	
5.2.4	რამდენად შეესაბამება ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობა საბჭოს წესს-დებულებას?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.2.5	ახალგაზრდული საბჭოს დაკომპლექტების პროცესი გამჭვირვალეა და ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გამოხატოს ინტერესი საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით	v	
5.2.6	აქვს ახალგაზრდულ საბჭოს შემუშავებული სამოქმედო გეგმა?	×	არსებობს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია
5.2.8	ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო საქმიანობის ფარგლებში	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.2.9	ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია	v	ნაწილობრივ: წინასწარ ანონსირება არ ხდება
5.2.10	ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საშუალებებით	v	ნაწილობრივ, რადგან ვებ-გვერდზე გაჭირდა ინფორმაციის მოძიება
5.2.11	მიუთითეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში ახალგაზრდული საბჭოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის წარდგენილი რეკომენდაციების რაოდენობა		
5.2.12	მიუთითეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა		
5.2.13	ახალგაზრდული საბჭოს მიერ წარდგენილი რამდენი რეკომენდაცია გაითვალისწინა მუნიციპალიტეტმა ბოლო სამი წლის მანძილზე?		
5.2.14	რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში საბჭოს მიეწოდება ინფორმაცია		

5.2.15	მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობას	v	
5.2.16	როგორ რთავს ახალგაზრდული საბჭო მოქალაქეებს/სხვა ახალგაზრდებს საკუთარ საქმიანობაში?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო - მარნეულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე საბჭო, მისი დებულების, სამოქმედო გეგმის და საქმიანობის ამსახველი ოქმების მოძიება ვერ მოხერხდა. საბჭოს აქტივობების ამსახველი მასალის ნახვა შეიძლება მუნიციპალურ ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში, მუნიციპალიტეტის მიერ შშმ პირთა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ არსებული ინფორმაციის ფარგლებში.

	წარდგენილი რეკომენდაციების რაოდენობა	გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა
2020	1	1
2021	1	1
2022	2	2

თვითშეფასების თანახმად, ხდება შშმ პირთა საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება მუნიციპალიტეტის მიერ.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, საბჭოს წევრის ინფორმაციით, საბჭოს აქვს სამოქმედო გეგმა და გაწერილი მიზნები. საბჭოს შემადგენლობაში შედიან უშუალოდ ბენეფიციარების წარმომადგენლები, რაც მის მუშაობას ეფექტურს ხდის. შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომები ღია და საჯაროა, შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება ხდება როგორც მუნიციპალიტეტის პიარის სამსახურის, ასევე მედიის მიერ. მონაწილეებმა გაიხსენეს პრაქტიკები, როდესაც საბჭოს მიმართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა შესაბამისი სერვისებით დააკმაყოფილა ბენეფიციარები. ფოკუს-ჯგუფზე ასევე აღინიშნა, რომ აღნიშნული საბჭო იშვიათად იკრიბება.

	ქვებლოკი 5.3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
5.3.1	არსებობს თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.2	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აქტივობებისთვის	×	ცალკე თანხები არ გამოიყოფა
5.3.3	რამდენად შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობა აღნიშნული საბჭოს დებულებას?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.4	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დაკომპლექტების პროცესი გამჭვირვალეა და ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გამოხატოს ინტერესი საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.5	აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემუშავებული სამოქმედო გეგმა?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი - წარმოდგენილია

			მუნიციპალიტეტის სხვა დოკუმენტაცია
5.3.7	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო საქმიანობის ფარგლებში	v	
5.3.8	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია	v	
5.3.9	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია	v	
5.3.10	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომები ღიაა და ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს შეუძლია დასწრება	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.11	მიუთითეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის წარდგენილი რეკომენდაციების რაოდენობა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.12	მიუთითეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.13	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ წარდგენილი რამდენი რეკომენდაცია გაითვალისწინა მუნიციპალიტეტმა ბოლო 3 წლის მანძილზე?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.14	რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საბჭოს წევრებს მიეწოდებათ ინფორმაცია	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.15	მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობას:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.3.16	როგორ რთავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო მოქალაქეებს საკუთარ საქმიანობაში?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამა (OGP) – მუნიციპალიტეტი არ მონაწილეობს აღნიშნულ პროგრამაში.

ინოვაციური მექანიზმები - თვითშეფასების კითხვარში აღინიშნა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებობს მექანიზმები, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა საკითხზე მოსახლეობისგან შესაძლებელია უკუკავშირის მიღება. ამისათვის გამოიყენება:

- მუნიციპალიტეტის ოფიციალურ სოციალურ ქსელი;
- მუნიციპალიტეტის ოფიციალური მეილი;
- მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების და მერიის საინფორმაციო ხაზის ნომრები;
- განცხადების რეგისტრაცია კანცელარიაში;
- მერის მიღების დღეები და სამუშაო საათებში, მერიაში ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებთან პირისპირ კომუნიკაცია;
- მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრების ფორმატში;
- მერის რწმუნებულის ჩართულობით, კომუნიკაციით.

მარნეულში დანერგილია მუნიციპალური სერვისების ელექტრონული პორტალის (ms.gov.ge) მოდულები. მიღებულ იქნა 10 ონლაინ განაცხადი.

აღნიშნული საქმიანობის ვერიფიკაცია ვერ ხერხდება, ვინაიდან აღნიშნული მექანიზმების დამადასტურებელი ინფორმაციის დოკუმენტური ფიქსირება არ ხდება.

მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება ხდება მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახული პროგრამებსა და ქვეპროგრამების ფარგლებში.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა დამატებითი მექანიზმებიდან ძირითადად განცხადებებზე ხელმოწერების შეგროვება დაასახელეს, რომელსაც მოქალაქეები მიმართავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. მონაწილეთა შეფასებით, ამგვარი განცხადებების ნაწილი დაკმაყოფილდა, ნაწილი კი არა.

	ქვებლოკი 5.5 ინოვაციური მექანიზმები		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
5.5.1	გარდა ინფორმაციის გავრცელების სტანდარტული გზებისა (სოციალური ქსელი, ვებგვერდი და ა.შ.) თუ იყენებთ დამატებით მექანიზმებს მოქალაქეთა ინფორმირებისთვის თქვენი საქმიანობის, პროგრამების, მონაწილეობის შესაძლებლობების, და ზოგადად, თვითმმართველობის არსის შესახებ?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.2	დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ ეს მექანიზმები და მათი გამოყენების პრაქტიკა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.3	მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას, გარდა კანონმდებლობით დადგენილი ძირითადი მექანიზმებსა, არსებობს თუ არა მექანიზმები, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას ხმა მისცენ, ან შეარჩიონ პრობლემის გადაჭრის მათთვის მისაღები გზა/ალტერნატივა?		
5.5.4	დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ ამგვარი პრაქტიკა და პროცესში გამოყენებული მექანიზმები		
5.5.5	არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტში მექანიზმები, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა საკითხზე მოსახლეობისგან შესაძლებელია უკუკავშირის მიღება?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.6	დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ ამგვარი პრაქტიკა და პროცესში გამოყენებული მექანიზმები	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.7	გარდა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებისა, არსებობს თუ არა სხვა მექანიზმები მოქალაქეებისგან იდეების/ინიციატივების მისაღებად, რომლებიც შემდგომ აისახება მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.8	დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ ეს მექანიზმები და მათი გამოყენების პრაქტიკა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.9	ამგვარი მექანიზმებით მიღებული რამდენი იდეა/ინიციატივა განახორციელა მუნიციპალიტეტმა?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.10	გარდა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებისა, რამდენად არსებობს მუნიციპალიტეტში მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც ხდება ერთობლივი მსჯელობა და გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგ. სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების, სერვისების ფორმირების პროცესში და ა.შ.?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.11	დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ აღწეროთ ამგვარი მექანიზმები და მათი გამოყენების პრაქტიკა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.12	ამგვარი მექანიზმების გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებების რა რაოდენობა განხორციელდა ბოლო 3 წლის განმავლობაში?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.13	არსებობს თუ არა კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტები/მექანიზმები, რომლითაც მოქალაქეები აფასებენ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

	მონაწილეობით პროცესებს, ან ზოგადად მუნიციპალიტეტის საქმიანობას?		
5.5.14	დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ აღწეროთ აღნიშნული ინსტრუმენტები	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.15	არსებობს თუ არა ინსტრუმენტები/მექანიზმები, რომლითაც ფასდება მუნიციპალური სერვისებით მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხი?		
5.5.16	დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ ჩამოთვალოთ აღნიშნული მექანიზმებით რომელი სერვისების შეფასების პრაქტიკა არსებობს თქვენს მუნიციპალიტეტში ?		
5.5.17	აქვს თუ არა დანერგილი მუნიციპალიტეტს პლატფორმა, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა არსებული პრობლემების შესახებ აცნობონ ადგილობრივ ხელისუფლებას ან დააფიქსირონ უკმაყოფილება ?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.18	მუნიციპალიტეტში ამგვარი ფორმით გაჟღერებული საკითხები	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.19	მოქალაქეთა მხრიდან ამგვარად შემოსული საჩივრების/პრობლემების რა ნაწილი გადაიჭრა ბოლო 3 წლის განმავლობაში?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.20	გარდა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებისა, რამდენად არსებობს მუნიციპალიტეტში მექანიზმები, რომელიც ხელს უწყობს ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას? (მაგ. შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, იძულებით გადაადგილებული პირები და ა.შ)	v	
5.5.21	დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ აღწეროთ ამგვარი მექანიზმები და მათი გამოყენების პრაქტიკა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
5.5.22	ჩაწერეთ მუნიციპალიტეტში მუნიციპალური სერვისების ელექტრონული პორტალის (ms.gov.ge) მოდულების გამოყენების პრაქტიკა და შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლები (მონიშნეთ ყველა მართებული)	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

მონაწილეობის დონეები (ბლოკი VI)

მეექვსე ბლოკში, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხს, მარნეულის მუნიციპალიტეტმა 3.6 ქულა მიიღო, რაც ნიშნავს, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან და გადაწყვეტილებები, ძირითადად, კონსენსუსის გზით მიიღწევა. თანამშრომლობის პროცესი უზრუნველყოფილია პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე. ერთობლივი გადაწყვეტილების განხორციელების პროცესისა და მიღებული შედეგების შესახებ, მიმდინარეობს აქტიური ორმხრივი კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან..

მონაწილეობის დონეები 3.6		
ინფორმირება	კონსულტირება	პარტნიორობა
0.75 /**0.8**	1.35 /**1.4**	1.5 /**1.8**

თვითშეფასების მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტი ინფორმირების მიზნით იყენებს:

- მედიას,

- ვებ-გვერდს (ადაპტირებულია მობილურ ტელეფონთან),
- სოციალურ ქსელს,
- ელექტრონულ ფოსტას,
- მოკლე ტექსტურ შეტყობინებას,
- განცხადებების დაფას,
- პირისპირ შეხვედრებს.

განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები. ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაციის გაცემის რეესტრი, ასევე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმა და წესი.

მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოსაზრებების გასაგებად გამოიყენება:

- ვებგვერდზე კომენტარები,
- სოციალურ ქსელში გამოხმაურება,
- პირისპირ შეხვედრები,
- საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა,
- რეგისტრირებულ განცხადებები.

მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს საზოგადოებრივი საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან, აქტიური მოქალაქეებთან, თემის ლიდერებთან, ექსპერტებთან. თანამშრომლობა ხორციელდება პრიორიტეტული პრობლემების განსაზღვრის, მათი მოგვარების გზების არჩევის და განხორციელების ეტაპებზე.

თვითშეფასების აღნიშნული მონაცემები არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროებით.

ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენლების მოსაზრებით, რეალური თანამონაწილეობითი პროცესები მუნიციპალიტეტში ნაკლებად მიმდინარეობს, ვინაიდან ერთი მხრივ პროცესებს ფორმალური ხასიათი აქვს და შედეგების მიღწევა ვერ ხერხდება. მეორე მხრივ, არა თუ რიგით მოქალაქეებს, აქტივისტებსაც კი არ აქვთ მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

„ჩართულობა ვერ იქნება თუ ინფორმირება არ იქნება. ელემენტარულია, თუ ადამიანს ინფორმაცია არ აქვს, რა ჩართულობაზე ვისაუბროთ“.

მონაწილეთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა ინფორმაციის გავრცელების წყაროები უფრო მრავალფეროვნად გამოიყენოს. მათი შეფასებით, ამჟამად ძირითადად ვებ-გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება, თუმცა ვებ-გვერდი არ არის მომხმარებელზე ორიენტირებული, არ აქვს უკუკავშირის დატოვების შესაძლებლობა და მასზე განთავსებული ინფორმაციაც ნაკლებად არის ხელმისაწვდომი მოქალაქისთვის გასაგები ფორმით (მაგ. გარდა მთლიანი დებულებისა, სასურველია ინფორმაციის წარმოდგენა მაგ. ინფოგრაფიკის ფორმით). მონაწილეთა აზრით სოციალური ქსელების გამოყენება უფრო სასარგებლო იქნება, რადგან მოსახლეობაში უფრო პოპულარულია.

„ის რომ თვითმმართველობამ ელემენტარულად ინფორმაცია მიაწოდოს (მოსახლეობას) რა ხდება იმ გარემოში რომელშიც ცხოვრობს, ხომ ძალიან ელემენტარული და ბუნებრივია. მათი როლი და ფუნქცია ეგაა“.

მოსახლეობის ინფორმირების ნაწილში მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა რწმუნებულების საკითხი. მონაწილეთა მოსაზრებით, ამ რგოლს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს როგორც მოსახლეობის, ასევე მათი საჭიროებების გადაწყვეტილებების მიმღებებამდე მიტანის კუთხით. თუმცა, მონაწილეთა შეფასებით, ისინი რეალურად ვერ ახორციელებენ თავიანთ საქმეს ეფექტურად და პირადი ნაცნობობის საფუძველზე აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას და პატიჟებენ შეხვედრებზე.

„შეიძლება მოსახლემ საერთოდ არ იცოდეს ვინ არის მის სოფელში მერის წარმომადგენელი და რა ხმის მიტანა შეუძლია გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე“.

ფოკუს-ჯგუფზე აღინიშნა, რომ მონაწილეობით პროცესებში ძირითადად მამაკაცები იღებენ მონაწილეობას და ხშირად დამსწრეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 5%-ს წარმოადგნენ ქალები. ამ კუთხით მნიშვნელოვანია შეკრების ჩატარების დროის გათვალისწინებაც და ქალებისთვის მოსახერხებელი დროის შერჩევა.

მონაწილეობითი პროცესების კიდევ ერთ ბარიერად მარნეულის მუნიციპალიტეტში დასახელდა ენის პრობლემა, რადგან საჭირო დოკუმენტები, რომელიც ქართულის არ მცოდნე მოსახლეობის ინფორმაციის წყარო უნდა იყოს, მხოლოდ ქართულ ენაზეა. როგორც ფოკუს-ჯგუფიდან გამოვლინდა, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის დროს არაქართულენოვან მოსახლეობას ეხმარებიან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, თუმცა ამ პროცესს ინსტიტუციონალიზებული ხასიათი არ აქვს.

მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია უკუკავშირის მექანიზმის აქტიურად დანერგვა მარნეულის მუნიციპალიტეტში. ამგვარი პრაქტიკა ნაკლებად არის დამკვიდრებული და არ მიეწოდება ინიციატორს ინფორმაცია, თუ საბოლოოდ რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის მხრიდან.

„განცხადებაზე უკუკავშირი არ არის, რა მიიღეს ამა თუ იმ საკითხზე. რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია“.

მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით. მონაწილეთა შეფასებით, ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით ხდება, მუდმივი შეხსენებაა საჭირო და ხშირად, მოწოდებული ინფორმაცია შინაარსობრივად გაუმართავია და დასმულ კითხვებს არ პასუხობს.

	ქვებლოკი 6.1 ინფორმირება

	კითხვა	ვერიფიკაციის წყარო	კომენტარი
6.1.1	ჩვენ აქტიურად ვაწვდით მოსახლეობას ინფორმაციას მიღებული გადაწყვეტილებების, დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის შესახებ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.1.2	მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ვიყენებთ:	v	
6.1.3	მუნიციპალიტეტი არსებული პრობლემების, მათი გადაწყვეტის გზების, განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას დამატებითი წყაროების მეშვეობით:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.1.4	მოსახლეობის ინფორმირებისას ვითვალისწინებთ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების (მაგალითად, ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ.) სპეციფიკას	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.1.5	ჩვენს მუნიციპალიტეტს აქვს კომუნიკაციის სტრატეგია (ან მსგავსი ტიპის ინსტრუქცია), რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან კომუნიკაციის საშუალებებს და ფორმებს	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.1.8	ჩვენ ინფორმაციას მარტივი ენით ვაწვდით მოსახლეობას	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.1.9	მუნიციპალიტეტის ვებგვერდი	v	
6.1.10	მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.1.11	ჩვენ ყოველთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების შესაბამისად გავცემთ საჯარო ინფორმაციას და ვაქვეყნებთ პროაქტიულად ინფორმაციას	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
	ქვებლოკი 6.2 კონსულტირება		
6.2.1	ჩვენ აქტიურად ვინტერესდებით მოსახლეობის საჭიროებებისა და მოსაზრებების გაგებით, რომელთა გათვალისწინებითაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილებები	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.2.2	მოსახლეობის საჭიროებებისა და მოსაზრებების გასაგებად, ვიყენებთ:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.2.3	საქმიანობისას ვინტერესდებით შემდეგი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებით:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.2.4	დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები ძირითად შემთხვევაში ასახულია საბოლოო გადაწყვეტილებაში	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.2.5	ჩვენ აღვრიცხავთ მიღებულ უკუკავშირს და დაინტერესებულ მხარეებს ვაწვდით ამომწურავ ინფორმაციას, თუ რა გავლენა იქონია მათმა მოსაზრებებმა საბოლოო გადაწყვეტილებაზე	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.2.6	მოსახლეობის საჭიროებებისა და მოსაზრებების გასაგებად, ყოველთვის უზრუნველვყოფთ თანასწორ გარემოს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლების მიერ აზრის გამოსახატად	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.2.7	მოსახლეობის მოსაზრებების გაგებით ვინტერესდებით	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
	ქვებლოკი 6.3 თანამშრომლობა		
6.3.1	ჩვენ აქტიურად ვინტერესდებით მოსახლეობის საჭიროებებისა და მოსაზრებების გაგებით, რომელთა გათვალისწინებითაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილებები	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.3.2	თანამშრომლობის პროცესი ეფუძნება ორმხრივ შეთანხმებას და ერთობლივი გადაწყვეტილება კონსენსუსის გზით მიიღწევა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.3.3	ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე:	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.3.4	ჩვენ მუდმივად ვაცნობთ ერთობლივი გადაწყვეტილების განხორციელების პროცესსა და მიღებულ შედეგებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
6.3.5	ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყოველთვის უზრუნველვყოფთ თანასწორ გარემოს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლებისთვის თანაბარი ხმის უფლებით	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

6.3.6	თანამშრომლობის პროცესს მივმართავთ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

შესაძლებლობების განვითარება (ბლოკი VII)

შესაძლებლობების განვითარება 3.5 /4	
საჯარო მოხელეები	მოქალაქეები
1.4 /**1.6**	2.1 /**2.4**

აღნიშნულ ბლოკში, რომელიც შესაძლებლობების განვითარებას მოიცავს, მარნეულის მუნიციპალიტეტმა 3.5 ქულა დააგროვა (საჯარო მოხელეები 1.4, მოქალაქეები 2.1 ქულა), რაც გულისხმობს, რომ მუნიციპალიტეტი აქტიურად ზრუნავს, როგორც საჯარო მოხელეების კომპეტენციების გაზრდაზე, ასევე მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებაზე მონაწილეობითი მიდგომების შესახებ. მუნიციპალიტეტი მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს გამარტივებულ ინსტრუქციებს და საგანმანათლებლო რესურსებს, თვითმმართველობის არსის, საქმიანობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ, სხვადასხვა საშუალების გამოყენებით.

თვითშეფასების მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტი ზრუნავს თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლებაზე მონაწილეობითი მიდგომების კუთხით. ზოგადად, მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის 2022 წელს 51000 ლარი იყო გამოყოფილი. ბოლო სამი წლის მანძილზე 173 საჯარო მოხელე გადამზადდა, რომელთა საჭიროებები კითხვარების მეშვეობით გამოვლინდა.

	გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა	მონაწილე
2020	43000	3190	63
2021	44000	20019,8	86
2022	51000	19736,6	24

გარდა აღნიშნულისა მერიის თანამშრომლები სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის მოწვევით იღებენ მონაწილეობას ტრენინგებში, სემინარებში და სასწავლო ვიზიტებში (2020-2022 წლებში სულ 168 ღონისძიება, 110 მონაწილე)

სხვა თემებთან ერთად, მოხელეებმა გაიარეს ტრენინგ-კურსები მონაწილეობითი მიდგომების შესახებ:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის შესახებ;
- ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი;
- გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება.

რაც შეეხება მოქალაქეებს, მუნიციპალიტეტი მხოლოდ ნაწილობრივ უწყობს ხელს საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების გაზრდას მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების, ისევე როგორც თვითმმართველობის არსისა და საქმიანობის შესახებ. ამისათვის

ძირითადად იყენებს ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელებსა და საჯარო შეხვედრებს, თუმცა ვერიფიკაციის წყარო არ არის წარმოდგენილი.

ფოკუს-ჯგუფზე გაჟღერდა მერიასა და საკრებულოდან არაკომპეტენტური პასუხების მიღების საკითხი. განსაკუთრებით პრობლემად მიიჩნიეს მერის რწმუნებულების გაძლიერება და მათი ფუნქციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

„რწმუნებულის რგოლი ძალიან მნიშვნელოვანი რგოლია და დებულებით გაწერილი. თვითონაც არ იციან რა ავალიათ“.

	ქვებლოკი 8.1 თანამშრომლები		
	კითხვა	**ვერიფიკაციის წყარო**	**კომენტარი**
8.1.1	მუნიციპალიტეტი ზრუნავს თანამშრომლების კომპეტენციების ამაღლებაზე მონაწილეობითი მიდგომებისა და მათი გამოყენების კუთხით	v	
8.1.2	მიუთითეთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა	v	
8.1.3	რამდენად არის ათვისებული მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
8.1.4	როგორ ხდება საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების გამოვლენა?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
8.1.5	რამდენი საჯარო მოხელე გადამზადდა ბოლო სამი წლის მანძილზე?	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
8.1.6	რამდენ საჯარო მოხელეს აქვს გავლილი ტრენინგი მონაწილეობითი მიდგომებისა და მათი გამოყენების შესახებ?		
	ქვებლოკი 8.2 მოქალაქეები		
8.2.1	მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
8.2.2	მუნიციპალიტეტს შემუშავებული და გამოქვეყნებული აქვს მარტივი სახელმძღვანელო ინსტრუქციები მოქალაქეებისთვის, თუ როგორ ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში	v	
8.2.3	მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას თვითმმართველობის არსისა და საქმიანობის შესახებ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი
8.2.4	როგორ ცდილობს მუნიციპალიტეტი აამაღლოს მოქალაქეთა ცნობიერება ზოგადად თვითმმართველობის არსისა და საქმიანობის შესახებ	×	არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროთი

სერვისები (ბლოკი VIII)

ბოლო ბლოკი, რომელიც კონკრეტულ სფეროებში მოქალაქეთა ჩართულობას განსაზღვრავს, მარნეულის მუნიციპალიტეტმა 2.73 ქულით შეაფასა, რაც გულისხმობს, რომ მუნიციპალიტეტი

მოცემულ სფეროებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, უმეტესწილად ითვალისწინებს მოქალაქეთა მოსაზრებებს. იგი, ძირითადად ფორმალური მექანიზმების გამოყენებით, რთავს თითქმის ყველა დაინტერესებულ მხარეს და აძლევს მათ თანასწორი მონაწილეობის საშუალებას. მოქალაქეებს მეტ-ნაკლებად აქვთ თანამონაწილეობის განცდა და მონაწილეობითი პროცესი მიმდინარეობს პოლიტიკის ციკლის თითქმის ყველა დონეზე.

თვითშეფასების კითხვარიდან გამოვლინდა, რომ მოსახლეობა (0.1 - 5%-მდე) შედარებით აქტიურად მონაწილეობს შიდა ტრანსპორტისა გარე ვაჭრობის საკითხებისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვაში. სხვა სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იყო მოწოდებული.

განხილვებში მონაწილეობს საზოგადოების ყველა სოციალური (მათ შორის მოწყვლადი) ჯგუფის წარმომადგენლები: ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, შშმ პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი პირები.

შიდა ტრანსპორტისა და უპატრონო ცხოველების საკითხებთან და ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით მონაწილეობა აღინიშნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში (საჭიროებების კვლევისას და საბიუჯეტო განხილვებისას)

გარე ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობითი პროცესი ძირითადად მიმდინარეობს საჭიროებების კვლევისას, დაგეგმვისას, გადაწყვეტილების მიღებისას, შეფასებისას.

გარე ვაჭრობის და საბიუჯეტო საკითხების განხილვისას მოქალაქეთა მონაწილეობა უზრუნველყოფილია ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა: დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, საკრებულოს/საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება, მერის/საკრებულოს წევრის წლიური ანგარიშის მოსმენა, საბიუჯეტო განხილვები. კმაყოფილების ხარისხის შეფასება ხდება პირისპირ შეხვედრების დროს.

სხვა სერვისების შემთხვევებში ანალოგიური საქმიანობა არ მიმდინარეობს..

სერვისები			
მუნიციპალიტეტის შეფასება 2.73 /4		ფოკუს ჯგუფების შეფასება (რამდენად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი მოქალაქეთა მონაწილეობას აღნიშნულ სფეროში?)	
		უზრუნველყოფს	არ უზრუნველყოფს
შიდა ტრანსპორტი	0.48/**0.8**	11%	89%
გარე ვაჭრობა	0.55/**0.8**	22%	78%
ბიუჯეტის პროექტი	0.43/**0.8**	11%	89%
სივრცითი მოწყობა	0.58/**0.8**	22%	78%
შინაური და უპატრონო ცხოველები	0.58 /**0.8**	11%	89%

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ყველა მიმართულებით, მუნიციპალიტეტი ნაკლებად ცდილობს მოსახლეობის ჩართვას პროცესებში:

„სერვისებზე და ყველაფერზე მუნიციპალიტეტს აქვს ერთი დამოკიდებულება ყველა თემაზე, რომ მათ კარგად იციან და არაა საჭირო ვიღაცეებს, ვისაც სოფელში მართლა ეს პრობლემა აქვთ, ჰკითხონ“.

ამ კუთხით დადებით ტენდენციად აღინიშნა, თემებში მოსახლეობის გააქტიურება და თვითორგანიზება კონკრეტული პრობლემის ირგვლივ და პრობლემური საკითხის ადვოკატირება გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მედიისა თუ საპროტესტო აქციების საშუალებით. ამგვარი საკითხები ძირითადად ფიზიკურ-მატერიალურ თემატიკას ეხება და არა უფლებრივ მდგომარეობას.

ზოგადი ტენდენციები (ბლოკი IX)

აღნიშნულ ბლოკში მარნეულის მუნიციპალიტეტმა 3.2 ქულა მიიღო, რაც ნიშნავს, რომ მოქალაქეებს უმეტესად აქვთ ინტერესი და მოტივაცია წვლილი შეიტანონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს მოქალაქეთა მოსაზრებებს, ძირითადად მხოლოდ ფორმალური მექანიზმების საშუალებით. იგი ხშირად ინტერესდება მოქალაქეების მიერ მონაწილეობითი პროცესების შეფასებით და ამისათვის იყენებს რამდენიმე მეთოდს.

თვითშეფასების კითხვარის თანახმად, მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მონაწილეობას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოსახლეობის ცნობიერება, ნდობის ხარისხი მუნიციპალიტეტის მიმართ, მუნიციპალიტეტის საქმიანობა და მონაწილეობის შესაძლებლობები და ფორმები.

მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებით მუნიციპალიტეტი დაინტერესებულია და თვლის, რომ აქვს გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა (აზერბაიჯანის, ესპანეთისა და პოლონეთის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა), საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება.

მონაწილეობის არსებული მექანიზმების რანჟირებისას ყველაზე გამოიკვეთა ყველაზე ეფექტური (ბიუჯეტის შემუშავების პროცესი) და ყველაზე არაეფექტური (პეტიცია) მექანიზმები:

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესი
2. დასახლების საერთო კრება,
3. სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა,
4. მერის და საკრებულოს წევრის ანგარიშები,
5. საკრებულოსა სხდომებზე დასწრება,
6. გენდერული თანასწორობის საბჭო,
7. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო,

[დამუშავებისპროცესში]

თავი 3. ძირითადი ტენდენციები და რეკომენდაციები

თვითშეფასების პროცესიდან (როგორც ელექტრონული კითხვარი, ისე ფოკუს-ჯგუფებზე გაკეთებული შეფასება) გამოვლინდა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის ზოგი მექანიზმი დანერგილია (მაგალითად, სათათბირო საბჭოები, სოციალური ქსელი და პირისპირ შეხვედრები), თუმცა მათი გამოყენება და მათი საშუალებით მოქალაქეთა საჭიროებებისა და რეკომენდაციების გაჟღერება აქტიურად არ მიმდინარეობს.

აღნიშნულის ძირითად მიზეზად მუნიციპალიტეტი მოსახლეობის პასიურობას და მოქალაქეთა ინფორმირებულობის არასათანადო ხარისხს ასახელებს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილის აზრით აღნიშნულს ემატება მუნიციპალიტეტის მხრიდან არასათანადო ინიციატივის გამოვლენა და ზოგჯერ კრიტიკული აზრის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებები.

მოქალაქეთა ჩართულობა ძირითადად სოციალური პროგრამების სფეროში ვლინდება, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად საკონსულტაციო და სათათბირო სახის შეხვედრები და მექანიზმები ნაკლებად გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით მუნიციპალიტეტში იკვეთება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები

<u>დადებითი ტენდენციები:</u>

- მუნიციპალიტეტი ავლენს დადებითი დამოკიდებულებას მონაწილეობითი პროცესების მიმართ, რაც განაპირობებს მისი ღიაობის ხარისხს;
- მუნიციპალიტეტი მონაწილეობს კონკურსებსა და პროგრამებში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე. მუნიციპალიტეტს აქვს გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ინტერმუნიციპალური პროექტები, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება;
- მუნიციპალიტეტში მოქმედებს მონაწილეობის მხარდამჭერი საბიუჯეტო პროგრამები/ქვეპროგრამები (მაგალითად, ახალგაზრდობის მხარდაჭერის მიმართულებით);
- აქტიურია მერის კომუნიკაცია სხვადასხვა სოფლის მოსახლეობასთან და მათთვის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;
- იკვეთება დადებითი ტენდენცია საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობის კუთხით (კრების გამართვის და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დროულად გავრცელება და სხდომების ლაივ რეჟიმში გაშუქება);
- მუნიციპალიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს ინფორმაციის გასავრცელებლად;
- საზოგადოებრივი საბჭოების ნაწილი (მაგალითად, გენდერული თანასწორობის საბჭო) საკმაოდ აქტიურად მუშაობს მოქალაქეთა ინფორმირების და ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით. ცალკეული საქმიანობისთვის თანხა გათვალისწინებულია მუნიციპალურ ბიუჯეტში;

- საბჭოების (მაგალითად, ახალგაზრდული საბჭოს) დაკომპლექტების პროცესი და საქმიანობა ღია და გამჭვირვალეა;
- მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეების მხრიდან უკუკავშირის მიღებისათვის გამოიყენება რიგი საშუალებები (სოციალური ქსელი და ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო სატელეფონო ხაზი, მოქალაქეთა მიღების საათები, მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრები, ხელმოწერების შეგროვება);
- მუნიციპალიტეტი ზრუნავს მონაწილეობითი მიდგომების საკითხებში თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლებაზე;
- აღინიშნება თემებში მოსახლეობის გააქტიურება და თვითორგანიზება ცალკეულ კონკრეტული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით (ადვოკატირება მედიისა თუ აქციების გამოყენებით), თუმცა საკითხები ძირითადად მატერიალურ თემატიკას ეხება და არა უფლებრივ მდგომარეობას.

<u>გამოწვევები:</u>

- მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მოსახლეობის პასიურობა და არაინფორმირებულობა, საკმაოდ დაბალია მოსახლეობის მოტივაციისა და თვითორგანიზების ხარისხი;
- მუნიციპალიტეტში არსებობს გარკვეული მონაწილეობითი მექანიზმები და პროცესები. თუმცა მათ ნაწილს ფასადური ხასიათი აქვს;
- მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს დასახლების საერთო კრების მექანიზმი (მხოლოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იმართება);
- მუნიციპალიტეტში არ არის აქტიური პეტიციის მექანიზმი;
- მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული გამარტივებული ბიუჯეტის დოკუმენტი, როგორც ერთგვარი გზამკვლევი მოქალაქეებისთვის;
- არ არის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები მონაწილეობითი პროცესების უზრუნველსაყოფად, მათ შორის კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების მხარდასაჭერად;
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნაწილის აზრით, ხელისუფლების ზოგი წარმომადგენელი უგულებელყოფენ მოქალაქეთა კითხვებს. არ ხდება დაინტერესებული მხარეების ინიციატივებისა და რეკომენდაციების აღრიცხვა. მუნიციპალიტეტი ნაკლებად ცდილობს გაზარდოს მოქალაქეთა მოტივაცია და აამაღლოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონე;
- ადგილობრივ დონეზე არ არის შემუშავებული მოქალაქეთა მონაწილეობასთან დაკავშირებული ხედვის/სტრატეგიის დოკუმენტი, შესაბამისად არ ხდება აღნიშნული დოკუმენტის შესრულების მონიტორინგი და ზედამხედველობა;
- მუნიციპალიტეტში ასევე არ არის შემუშავებული ინსტრუქციები და პროცედურების ნაკრები საჯარო მოხელეებისთვის მონაწილეობითი პროცესების გამოყენებასა და წარმართვასთან დაკავშირებით;
- ჩართულობის პროცესები ნაკლებად არის ინსტიტუციონალიზებული;
- მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება უმეტესად შეხვედრების შემდგომ ვრცელდება, ვიდრე ანონსის სახით;

- ხარვეზები გამოიკვეთა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით. მონაწილეთა შეფასებით, ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით ხდება;
- მონაწილეობითი პროცესების კიდევ ერთ ბარიერად მარნეულის მუნიციპალიტეტში დასახელდა ენის პრობლემა, რადგან საჭირო დოკუმენტები მხოლოდ ქართულ ენაზეა. მართალია არაქართულენოვან მოსახლეობას ეხმარებიან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, თუმცა ამ პროცესს ინსტიტუციონალიზებული ხასიათი არ აქვს;
- არ ხდება მონაწილეობითი მექანიზმების გაანალიზება გრძელვადიანი შედეგებისა და სოციალური ეფექტების გამოვლენის მიზნით;
- ზოგადად მონაწილეობით პროცესების გააქტიურებას მნიშვნელოვნად აზიანებს რეალური დეცენტრალიზაციის ნაკლებობა და მუნიციპალიტეტის შესაბამისი უფლებამოსილების არ ქონა;
- თვითშეფასების კითხვარის მიხედვით კი ირკვევა, რომ დასახლების საერთო კრებები (ორგანული კანონით განსაზღვრული ფორმით) მარნეული მუნიციპალიტეტში საერთოდ არ ჩატარებულა ბოლო სამი წლის მანძილზე. ასევე სუსტია პეტიციის მექანიზმი.

რეკომენდაციები:

მონაწილეობითი პროცესების ჩარჩოს გაუმჯობესება:

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში არსებობდეს მონაწილეობითი პროცესების შესახებ სტრატეგია/ხედვა, რაც ხელს შეუწყობს ჩართულობის პროცესების გააქტიურებას;
- მნიშვნელოვანია საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა მონაწილეობის მექანიზმების განხორციელების უზრუნველსაყოფად და ზოგადად, მონაწილეობითი მიდგომების დასანერგად; სასურველია პროგრამის/ქვეპროგრამის შემუშავება მონაწილეობითი პროცესების მხარდასაჭერად;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტი პერიოდულად აანალიზებდეს, რა გამოწვევები აქვს თითოეულ მექანიზმთან მიმართებაში მონაწილეობის კუთხით;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეაგროვოს და გააანალიზოს იმ მონაწილეობითი პროცესების შესაბამისი მონაცემები, რომლებსაც ახორციელებს მუნიციპალიტეტში, რაც დაეხმარება ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

საჯარო მოხელეების გაძლიერება:

- სასურველია შეიქმნას საჯარო მოხელეებისთვის შიდა წახალისების მექანიზმები, რომელიც მათ გაუჩენს მოტივაციას უფრო აქტიურად დანერგონ მონაწილეობითი პროცესები;

- სასურველია მუნიციპალიტეტში არსებობდეს მონაწილეობითი პროცესების წარმართვასთან დაკავშირებული ინსტრუქციები, რომელიც საჯარო მოხელეებს დაეხმარება განსაზღვრონ როდის და როგორ გამოიყენონ მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკები, ასევე როგორ უზრუნველყონ მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობა (მაგალითად, დასახლების კრებების ჩატარებაში მეთოდოლოგიური დახმარება);
- სასურველია მეტი საჯარო მოხელის გადამზადება მონაწილეობით პროცესებთან დაკავშირებით.

მონაწილეობის მექანიზმების და ინსტრუმენტების გააქტიურება:

- მნიშვნელოვანია თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გააქტიურება, რათა მოქალაქეებმა უკეთ შეძლონ პოლიტიკის შექმნის პროცესში საკუთარი საჭიროებების დაყენება;
- მნიშვნელოვანია შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ და ახალგაზრდულმა საბჭომ დანერგოს სხდომის ოქმებისა და საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის პრაქტიკა.
- სასურველია მუნიციპალიტეტმა დანერგოს მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემა, რითაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ინფორმირებას;
- მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოს შესაბამისი უკუკავშირი მუნიციპალიტეტის მხრიდან, თუ რა გავლენა იქონია მათმა მოსაზრებებმა საბოლოო გადაწყვეტილებაზე და როგორ მიმდინარეობს აღსრულების პროცესი;
- მნიშვნელოვანია დაინერგოს კონკრეტული და სისტემატიზებული მექანიზმები მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხის გასაზომად.

ინფორმაციის გავრცელების/გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება:

- დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გაეცნონ ბიუჯეტის შესახებ ყველა შესაბამის დოკუმენტს (განმარტებითი ბარათი, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები, ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, ბიუჯეტის გამარტივებული დოკუმენტი);
- მნიშვნელოვანია ინფორმაციის განთავსება მომხმარებელზე ორიენტირებული, გასაგები ფორმით (მაგ. გარდა მთლიანი დებულებისა, სასურველია ინფორმაციის წარმოდგენა მაგ. ინფოგრაფიკის ფორმით);
- მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა აწარმოოს საჯარო ინფორმაციის გაცემის რეესტრი.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება:

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტს ჰქონდეს კომუნიკაციის სტრატეგია, რითაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მრავალფეროვნების გათვალისწინებასა და შესაბამისი წყაროების/ინსტრუმენტების გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ინფორმირების სათანადო ხარისხი და მიეცეთ მონაწილეობით პროცესებში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა;
- მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოს შესაბამისი უკუკავშირი მუნიციპალიტეტის მხრიდან, თუ რა გავლენა იქონია მათმა მოსაზრებებმა საბოლოო გადაწყვეტილებაზე და როგორ მიმდინარეობს აღსრულების პროცესი.

მოსახლეობის მოტივირება/ცნობიერების ამაღლება:

- მნიშვნელოვანია წამახალისებელი პროგრამების შექმნა მოქალაქეებისთვის, მათი მოტივაციის გასაზრდელად;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება მუნიციპალიტეტში არსებულ მონაწილეობის ფორმალური და დამატებითი მექანიზმების შესახებ (მაგალითად გამარტივებული ინსტრუქციების ფორმით).